



# ახალი განათლება

17-23.05.2018

№17 (811) განმარტული 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

## მოსწავლეთა უფლებების დაცვის მეტი ეფექტურობისთვის

საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ „ძველი“ მანდატები ბუნებრივად, მაგამ ასე აი აიხს. ძველ ჯანონში სულ სხვა ჰქონდა იყო - მანდატის ჯანონით ვეალებოდა სკოლის შინა განაწესის გაკონტროლება, ხაც იმას ნიშნავდა, რომ ის აკონტროლებდა ხოგოი ასხელებდნენ სკოლის თანამშრომლები (პედაგოგებით დანყებელი და დიხექტოხით დამთავხებული) მათზე დაჯისხებულ უფლება-მოვალეობებს. ხოგოი ასხელებს პედაგოგი ჰქოფესიულ მოვალეობას, მისმა ხელმძღვანელმა უნდა აკონტროლოს, ხელმძღვანელს ჯი განათლების სამინისტროში ჰყავს მაკონტროლებელი და ეს ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოებასთან ახანაი ჯავშიში აი აიხს. სკოლის შინაგანაწესის შესხელების კონტროლის გამო იყო სწოხედ დაჰიხსპიხება ამ მი მხახეს შმიხს. ეს უთანხმოება დღეს აღმოფხვილია და დიხექტოხები, პედაგოგები, მანდატები და მშობლები ეხომბლივად მეშაობენ ჰქობლებების გადანყვეტახე.

საგანმანათლებლო დასაბუღების მანდატების სამსახური

www.mes.gov.ge

გვერდი 2

ჯონსტანსინე ანჯაფხიძე



გვერდი 4

### პროფესიული განათლება ცვლილებები, რომელსაც ახალი კანონი მოიტანს



გვერდი 5

### PIRLS-ის შედეგები რამდენად უზრუნველყოფს სკოლა საბაზო უნარის განვითარებას

### ქურნალი ათნლიანი ისტორიით



გვერდი 3

### მათემატიკის პლაგოგოთა საყურადღებო

ანყო ვაროგოპი  
ბასტაბი მათემატიკაში

მასწავლავალთა  
გამოცდებისთვის  
VII-XII კლასები

**სიანსლა**

თბილისი 2018

კრებული პრაქტიკული ხასიათისა და განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მეორე და მესამე საფეხურის მათემატიკის მასწავლებლებსთვის. მასში შეტანილია სავარჯიშოები და ტესტები, მასწავლებელთა საჭიროებებისა და მასწავლებელთა საგამოცდო პროგრამის გათვალისწინებით. კრებულში 4 ტესტია, თითოეული მოიცავს:

- ⇒ 30 ერთჯელიან დახურული ტიპის სავარჯიშოს სავარაუდო პასუხებით;
- ⇒ ერთ 10-ქელიან სავარჯიშოს;
- ⇒ ერთ 5-ქელიან სავარჯიშოს;
- ⇒ ერთ 7-ქელიან ღია ტიპის სავარჯიშოს პასუხებით.

ფასი - 10 ლარი

2017-2018 სასწავლო წლის მე-11 კლასის მოსწავლეებისთვის სკოლის გამოსაშვები გამოცდების განრიგი ცნობილია

12 იანვარი	გეოგრაფია
13 იანვარი	ბიოლოგია
14 იანვარი	ფიზიკა
15 იანვარი	ქიმია

მანდატურის სამსახური

# მოსწავლეთა უფლებების დაცვის მეტი ეფექტურობისთვის

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სხდომაზე, პირველი მოსმენით განიხილეს ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფს რომორც მოსწავლეთა უფლებების უკეთ დაცვას, ასევე კონსტიტუციის გათვალისწინებით განათლების სამინისტროში, ამ დარგში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე, სახალხო დამცველის აპარატი. რამდენიმე თვის განმავლობაში, დეტალურად გავიარეთ ყველა საკითხი და შევთანხმდით, რა ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო. რა მიზანი ჰქონდა ამ ცვლილებებს? მთავარი – გაიზარდოს მანდატურის სამსახურის მუშაობის ეფექტურობა.

როგორც ვიცით, ბოლო წლების განმავლობაში, სკოლებში დარღვევების საკმაოდ მნიშვნელოვანი კლებაა. თვითონ სკოლის ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, არ ჰქონია ადგილი მძიმე შემთხვევებს, ამავე დროს, ზოგადად ქვეყანაში, გახშირდა არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაული და ძალადობის შემთხვევებიც. ამან გამოიწვია ცვლილებების შეტანა კანონში, რომლის განხორციელების შედეგად, ვიმედოვნებთ, რომ მთლიანად ქვეყანაში შეიცვლება ძალადობრივი ფონი და არასრულწლოვანთა დანაშაულიც შემცირდება. თუმცა, არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ერთი რეფორმით ძალადობა აღარ იქნება. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა დგას იმ პრობლემაში წინაშე, რასაც ბავშვებში ძალადობა ჰქვია და მერწმუნეთ, საქართველოში ბევრად ნაკლები შემთხვევებია, ვიდრე ევროპისა თუ მსოფლიოს ნაშუალო ქვეყნებში. ჩვენი ერთიანი ძალისხმევა უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ შევამციროთ რისკები.

**– კონკრეტულად რა ცვლილებები შედის კანონში?**  
– აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ჯერჯერობით ამ კანონის განხილვა მიმდინარეობს და შეიძლება, ბევრი რამ შეიცვალოს, მაგრამ კანონპროექტთან დაკავშირებით შემოიღო ვთქვა, რომ, პირველ რიგში, მოხდა რამდენიმე დაზუსტება. იყო მთელი რიგი პრობლემური მუხლები, რომლებიც სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. ამ მუხლების დაზუსტება არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნა იყო. მაგალითად, მუხლში, რომელიც მანდატურის მიერ მოსწავლეს, პირადი გასინჯვის უფლებას განსაზღვრავდა, არ იყო დაკონკრეტებული, რა წესით და როგორ ატარებდა მანდატური პირად დათვალიერებას. ახლა ეს ტერმინი შეიცვალა „ხედაობრივი დათვალიერებით“ და ზუსტადაა განვლილი, როგორ და რა შემთხვევაში მიმართავს მანდატური ამ პროცედურას.

ჩვენი სურვილია, ერთი მხრივ, გაიზარდოს მანდატურის სამსახურის ეფექტურობა, მაგრამ, მეორე მხრივ, არ გვინდა, რომ ამის ხარჯზე ვიღაცის უფლებები დაირღვეს. ამ ცვლილების თანახმად, მოსწავლის უფლებები უფრო მეტადაა დაცული. შემოდის, ასევე, განცხადებების მექანიზმი, რომელიც აქამდეც ჰქონდა მანდატურებს, მაგრამ არ იყო დეტალურად განვლილი, ვის და როგორ უნდა განეცალკევებინა, რა შემთხვევაში, როგორ ემოქმედათ შემდგომ, დაენერათ თუ არა ოქმი... – ყველაფერი უზღოვანი იყო კანონმდებლობაში, ახალი კანონით ეს პროცედურა დეტალურადაა განვლილი.

იცვლება ასაკობრივი ცენზი, მანდატურად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, ასევე, შემოდის განათლების ახალი ცენზი – აქამდე მანდატური შეიძლება გამხდარიყო ზოგადი განათლების მქონე პირი, ახლა სავალდებულო იქნება ზოგადი ა პროფესიული ან ზოგადი ა უმაღლესი განათლება. შეიცვლება მანდატურების მოსამზადებელი კურსიც, გაიზარდება და უფრო მეტ საკითხს მოიცავს. ჩვენი სურვილია, მაგალითად, შევიდეს ისეთი საკითხები, როგორცაა კონფლიქტის მოგვარება, მედიაცია, რომ მანდატურებმა უკეთ შეძლონ დაპირისპირებული მხარეების შერიგება, გამომწვევი მიზეზის პარკვევა და სათანადოდ რეაგირება. ეს ჩვენი ძალიან მნიშვნელოვანია. კანონს როგორც კი მიიღებენ, დაიწყება პროგრამის შემუშავება და გადამზადება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მანდატურები უშუალოდ მანდატურის სამსახურის დაქვემდებარებაში გადმოვიდეთ და მიგაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი ძირითადი ცვლილებაა.

**– აქამდე ვის დაქვემდებარებაში იყვნენ?**  
– სამხრეთი ხელშეკრულება იყო, სკოლების დაქვემდებარების ქვეშ იყვნენ, მაგრამ ფინანსურ უზრუნველყოფას, გადამზადებას და ა.შ. ჩვენ ვახორციელებდით. კანონის მიხედვით, ჩვენ წარვადგენდით მანდატურს, შემდგომ ნიშნავდა დირექტორი, რომელიც ათანხმებდა სამეურვეო საბჭოსთან. ძალიან გართულებული და დროში გაწვეული პროცედურა იყო. ვთქვათ, დღეს მაქვს რომელიმე სკოლაში პრობლემა და მჭირდება დამატებითი მანდატური ან მანდატური შეუძლოდ არის და უნდა ჩავანაცვლოთ. პროცედურულად ასე ხდებოდა: ჯერ წარვუდგენდით დირექტორს, ის კი – სამეურვეო საბჭოს. წარდგენის პროცედურებს თავისი ვადა აქვს, მაგალითად, შეკრების ვადა კანონითაა განვლილი, სამეურვეო საბჭო ნებისმიერ დროს ვერ შეიკრიბება. თუ შეიკრიბა და მოინონა კანდიდატურა, მხოლოდ ამის შემდგომ შეუძლია მანდატურს,

შეუდგეს საქმიანობას. ეს პრაქტიკაში ძალიან დიდ პრობლემებს ქმნიდა, რადგან, მინიმუმ, ორკვირიანი პროცედურა და ეფექტურობის თვალსაზრისით – რთული.

**– ახლა მანდატურის სამსახური დანიშნავს მანდატურს?**  
– დიახ, მაგრამ თუ რაიმე პრეტენზია ექნება სკოლის ადმინისტრაციას ან მანდატურს შეეჭმნება პრობლემა, ჩვენს სამსახურში არსებობს მონიტორინგის სამმართველო და მათ შეუძლიათ დასაბუთებულად მოგვმართონ. ძალიან მკაცრი რეაგირება გვექნება და ყოველთვის გავიზარებთ სკოლის ადმინისტრაციის აზრს ამა თუ იმ მანდატურის დანიშვნასთან დაკავშირებით, რადგან მათ ერთად უნდა იმუშაონ და საერთო საქმე აკეთონ.

საზოგადოებაში გაჩნდა აზრი, რომ „ცელი“ მანდატურები ბრუნდებიან, მაგრამ ასე არ არის. ძველ კანონში სულ სხვა პრობლემა იყო – მანდატურს კანონით ევალებოდა სკოლის შინა განაწესის გაკონტროლება, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის აკონტროლებდა როგორ ასრულებდნენ სკოლის თანამშრომლები (პედაგოგებით დანაშაული და დირექტორით დამთავრებული) მათზე დაკისრებულ უფლებამოსებებს. როგორ ასრულებს პედაგოგი პროფესიულ მოვალეობას, მისმა ხელმძღვანელმა უნდა აკონტროლოს, ხელმძღვანელს კი განათლების სამინისტროში ჰყავს მკონტროლებელი და ეს ბავშვების ფიზიკურ უსაფრთხოებასთან არანაირ კავშირში არ არის. სკოლის შინაგანაწესის შესრულების კონტროლის გამო იყო სწორედ დაპირისპირება ამ ორ მხარეს შორის. ეს უთანხმოება დღეს აღმოფხვრილია და დირექტორები, პედაგოგები, მანდატურები და მშობლები ერთობლივად მუშაობენ პრობლემების გადაწყვეტაზე.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებაა, ჩვენი აზრით, რომ მანდატურის სამსახურს კანონის ძალით დაევალება, მოსწავლეები ჩართოს სხვადასხვა სახის პროგრამებში, მანდატურის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქცია იქნება მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ეს პროექტი უკვე დაწყებული გვაქვს და, კვირაში ორჯერ მაინც, მანდატურების თაოსნობით, სპორტის პედაგოგების დახმარებით, სკოლებში სხვადასხვა სპორტული აქტივობა ტარდება. ბოლო დროს, ვიმუშავეთ სპორტულ ფედერაციებთან, გადავამზადებინეთ სპორტის მასწავლებლები, რომლებიც შემდგომში უფრო კვალიფიციურად ჩაატარებენ ე.წ. „თავისუფალ გაკვეთილებს“.

გაიზარდება ფსიქოლოგიური ცენტრების რაოდენობა, მთელ საქართველოს დაფარავთ. 5 რეგიონში უკვე გვაქვს და სხვა რეგიონებშიც გვეგეგმვთ გახსნას. როგორც ცნობილია, 2082 საჯარო სკოლა და საქართველოში ფიზიკურად არ გვაქვს იმდენი ფსიქოლოგი, მით უმეტეს ბავშვთა ფსიქოლოგი, რომ ყველა სკოლაში შევიყვანოთ. ზოგადად, ფსიქოლოგიურმა ცენტრებმა გაამართა, რადგან უკვე 3000-მდე ბენეფიციარი ჰყავთ. მათი რაოდენობის ყოველდღიური მატება იმაზე მიგვანიშნებს, რომ მშობლებიც და სკოლის პერსონალიც მიხვდნენ ფსიქოლოგიური მომსახურების აუცილებლობას. ჩვენი ფსიქოლოგები რეალურად ბევრი პრობლემის მოგვარებაში ეხმარებიან.

**– თბილისის სკოლებში თუ არიან ფსიქოლოგები?**  
– ზოგიერთ სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, მაგრამ ყველას არა. წარმოუდგენელია სკოლაში ფსიქოთერაპიის განვეა, ფსიქოლოგის კაბინეტი სპეციალურ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს და ფიზიკურად, სკოლებს ამის საშუალება არ აქვთ. თბილისში ერთი ფსიქოლოგიური ცენტრი გვაქვს და თვის ბოლოს მეორე გაიხსნება. ამ მხრივ, თბილისში არანაირი პრობლემა არ არის, საჭიროების შემთხვევაში, სკოლებმა იციან, როგორ მოიქცნენ. ჩვენ ვასწავლეთ მანდატურებს, როგორ მოახდინონ ქვეყნით და ემოციური დარღვევების მქონე მოსწავლეების პირველადი იდენტიფიკაცია. შემდეგ ჩვენს ცენტრებში ამისამართებენ და ამ ბავშვებთან უკვე კვალიფიციური ფსიქოლოგები მუშაობენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფსიქოლოგიური ცენტრების მომსახურება უფასოა, მსგავსი ფუფუნება, დამიჯერეთ, ბევრ ქვეყანაში არ არის. უფასოა როგორც მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის, ასევე მშობლების ჯგუფებისთვის. ვემსახურებით მშობლებს, რომლებსაც ბავშვთან ურთიერთობის პრობლემა აქვთ.

გარდა იმისა, რომ უფრო მეტი ფსიქოლოგიური ცენტრი უნდა გავხსნათ, სკოლის ფსიქოლოგებსაც გავუწევთ კოორდინაციას და ჩვენი მუშაობა, ამ კუთხითაც, უფრო ეფექტური იქნება. ახალი ცვლილებებით, ჩვენს სამსახურს ევალება სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებების (იქნება ეს ანტიბულინგური თუ სხვ.) გატარება, უკვე კანონის დონეზე. ვგეგმავთ, რომ თითოეული სკოლა ინდივიდუალურად შევისწავლოთ, ვნახოთ, რა პრობლემები აქვს და ამის გათვალისწინებით დავეგეგმოთ მოგვარების გზები.

**– რას გულისხმობთ სკოლების ინდივიდუალურად შესწავლაში?**  
– სკოლები განსხვავდება ადგილმდებარეობით, კონტინგენტით, ინფრასტრუქტურით და სხვ. ჩვენ უსაფრთხოების



კუთხით შევისწავლით საჯარო სკოლებს, რასაც აქამდეც ვაკეთებდით. ყოველი სემესტრის ბოლოს გავანალიზებთ დარღვევებს – რა მოხდა, როგორ მოხდა, რამ გამოიწვია, შეიძლება ვიღაც ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და ა.შ. ანალიზის საფუძველზე, სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად, პრევენციულ ღონისძიებებს დავეგეგმავთ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ მოვიქცეთ.

**– რა დოზით ჩაერთვება შინაგან საქმეთა სამინისტრო მანდატურის სამსახურის საქმიანობაში?**

– კანონში წერია, რომ მეტი კოორდინაცია უნდა იყოს ამ ორ სტრუქტურას შორის, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი თანამშრომლობა. შევთანხმდით, რომ მეტი კოორდინაცია გვექნება, საჭიროების შემთხვევაში, საპატრულო პოლიციას მივმართავთ და იქ, სადაც მძიმე წერტილებია, საპატრულო ეკიპაჟის პატრულირებას უზრუნველყოფთ. თუ მანდატური რაიმე დანაშაულის ნიშნებს აღმოაჩენს, პოლიციას ვანვით ინფორმაციას, ეს კანონში აქამდეც ეწერა, მაგრამ, მაგალითად, შაბათ-კვირას ან არდადეგებზე, ორ ბავშვს მოუვიდა დაპირისპირება, ამის შესახებ პოლიციამ იცოდა, მაგრამ ჩვენ არა, რადგან იქ არ იყო მანდატური. ეს ბავშვები, ორშაბათს ან არდადეგების შემდეგ, მოდიან სკოლაში და შეიძლება მათ შორის რაღაც მოხდეს. თუ სკოლაში კონფლიქტის წარმოქმნის თუნდაც მცირე რისკი არსებობს და შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს ინფორმაცია ამის შესახებ, ვალდებული იქნება, გვეცნობოს. აქამდე ასე არ ხდებოდა. ჩვენი ძალიან მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ კონკრეტულ ბავშვს რაიმე პრობლემა თუ აქვს, რადგან ის ბავშვი ნახევარ დღეს სკოლაში ატარებს და უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ. მანდატურიც უნდა იცოდეს ის, რაც იცის უბნის ინსპექტორმა ან პოლიციელმა. სწორედ ამაზეა საუბარი ცვლილებაში, რომ უკეთესად მოხდეს ჩვენს ორ სტრუქტურას შორის ინფორმაციის გაცვლა. სავარაუდოდ, კანონის მიღების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროში ახალი დეპარტამენტი შეიქმნება. თუ პარლამენტში კანონი ამ სახით დამტკიცდა, შემდგომში უკვე ინფორმაციის შიდა ბრძანებით გაიზარდება დეტალურად, რა სახის ინფორმაციაზე იქნება წვდომა და როგორ იმოძრავენ ეს ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, რომ ამ ინფორმაციის გაცვლისას არ იყოს ვინმეს უფლებები დარღვეული, მით უმეტეს არასრულწლოვნის.

**– სკოლებთან მუდმივი პატრულირება იქნება თუ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და კონკრეტულ დროს?**

– რა თქმა უნდა, საჭიროების შემთხვევაში, თბილისში რამდენი სკოლაცაა, ალბათ, ადენი საპატრულო ეკიპაჟი საერთოდ არ არის, მით უმეტეს, როცა საქმე რეგიონებს ეხება. სადაც საჭირო იქნება და რა დოზითაც იქნება საჭირო, ჩვენ ვთხოვთ საპატრულო პოლიციას, რომ პატრულირება მოახდინოს, მაგალითად, როცა ბავშვები გაკვეთილების შემდეგ გამოდიან სკოლიდან და ცვლები იცვლება, თუ ვიცით, რომ ამ დროს შეიძლება პრობლემა იყოს. ჩვენ შორის უკვე კარგა ხნის თანამშრომლობაა და მომავალშიც კარგად ვითანამშრომლებთ.

**– თუ ექნებათ მანდატურებს უფლება, სკოლის გარეთ გააკონტროლონ ვითარება?**

– მანდატურებს ევალებათ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი – ეზო და სკოლის შენობა. რა თქმა უნდა, თუ მანდატური შეიტყობს, რომ სკოლის გარეთ რაღაც ხდება, აუცილებლად უნდა ჩაერთოს და შესაბამის ორგანოებსაც უნდა აცნობოს.

**– დამოუკიდებლად შეძლებს ამ გადამწყვეტილების მიღებას თუ შეთანხმება ან ნებართვის მიღება იქნება საჭირო?**

– მანდატურმა თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, როცა ხედავს, რომ სკოლიდან ასი მეტრის მოშორებით ბავშვები ჩხუბობენ. აქამდეც ერთგვარად და არანაირი შეზღუდვა არ ჰქონდათ. ასეთ დროს, კონფლიქტის მოგვარებაში ჩარევა ყველა მოქალაქის ვალია, მით უმეტეს მანდატურის. ძალიან ბევრი შემთხვევა ყოფილა, როცა მსგავსი ფაქტები აღუკვეთიათ მანდატურებს.

**– მანდატურის სამსახური ყველა სკოლაშია თუ მხოლოდ იმ სკოლებში, ვინც სურვილი გამოთქვს?**

– დღეს მანდატურის სამსახური 460 სკოლაშია, მაგრამ პროცესი არ შეჩერებულა, ნელ-ნელა ვფართოვდებით. ძალიან დიდი მოთხოვნაა, თითქმის ყველა სკოლას აქვს სურვილი, მაგრამ მცირეკონტინგენტის სკოლებში, მაგალითად, 5 ან 10-ბავშვიან სკოლაში, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია ორი დამატებითი თანამშრომლის – სკოლის მანდატურის აყვანა. ერთ წელიწადში, მანდატურები იქნებიან ყველა საჯარო სკოლაში, სადაც 300 ბავშვზე მეტია, პარალელურად, მეორე პროექტზე

მანდატურის სამსახური

ვმუშაობთ და უახლოეს მომავალში, მანდატურის სამსახური გადაამზადებს მცირეკონტინგენტიანი სკოლის ერთ-ერთ ნარ-

ვის დაფინანსებაზე არიან მანდატურები - სკოლების თუ მანდატურის სამსახურის?

- მანდატურის სამსახურის.
- კერძო სკოლების შემთხვევაში, როგორ ხდება?
- კერძო სკოლებში მოთხოვნის შემთხვევაში შედის მანდატურის სამსახური, ოღონდ ეს მომსახურება ფასიანია და ამ სერვისის საფასურს სკოლა იხდის.

გაუწევს მანდატურის სამსახური. არა აქვს მნიშვნელობა, სკოლაში მანდატური იქნება თუ არა, ვიდრე კამერები ყველგან და-

- თუ არსებობს იმის სტატისტიკა, უფრო ხშირად რა ტიპის დარღვევებია სკოლებში, რომელია ნომერ პირველი პრობლემა?

იუაილა

შურნალი ათწლიანი ისტორიით

ლალი ჯელაძე

შურნალი „მასწავლებლის“ 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით „ჰოლიდი ინ“-ში საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ეს

ლონისძიებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, შურნალის ავტორები, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები ესწრებოდნენ.

„ყველაფერი დაიწყო ერთი ბეჭდური გამოცემით, ორ თვეში ერთხელ გამოცემული შურნალი, რომელიც დღესაც გამოდის და საქართველოს ყველა სკოლას საჩუქრად გადაეცემა. მე მინახავს კითხვისგან გაცრეცილი შურნალი „მასწავლებელი“ აჭარის, ფშავის, ხევსურეთის, იმერეთისა და საქართველოს სხვა რეგიონების ყველაზე მაღალმთიანი რაიონების სკოლებში.“ - ამბობს შურნალის რედაქტორი ნატალია ინგოროყვა და იმ მკითხველს, რომელიც ითხოვს შურნალიდან მეტი ხმაური და განათლების სისტემის კრიტიკა ისმოდეს, ჰპირდება, რომ ხმაურის ნაცვლად, მეტ საჭირო სიგნალს გაიგონებენ, რადგან, როგორც რედაქტორი ამბობს, ისინი სწორედ მასწავლებლებისა და მკითხველის მოთხოვნებზე რეაგირებენ და, რაც მთავარია, პროფესიულად, აკადემიურად და ხმაურის გარეშე.

ინტერნეტგაზეთს დღეს მილიონ-ნახევარზე მეტი უნიკალური მომხმარებელი ჰყავს და ინტერესიც დღითი დღე იზრდება. შურნალის პროგრამის ფარგლებში, შეიქმნა „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“ და, ათი წლის განმავლობაში, თერთმეტი წიგნი გამოიცა. ყოველწლიურად, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისა და ლიტერატურაში თანამედროვე მასწავლებლის სახის შექმნის მიზნით, ტარდება კონკურსი „საუკეთესო მოთხრობა მასწავლებელზე“. 2017 წელს განათლების მეცნიერების მკვლევრებისთვის შეიქმნა სამეცნიერო რეფერირებადი შურნალი, რომელშიც უკვე 11 სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა და გაიმართა პირველი სამეცნიერო კონფერენციაც.

„ჩვენი შურნალი „მასწავლებელი“ 10 წლის გახდა! ვამბობ „ჩვენი“ და ვგულისხმობ განათლების სისტემის განვითარების ფერხულში ჩაბმულ თითოეულ პედაგოგს, ადმინისტრატორს, სკოლის დირექტორს, სპეციალისტს, აკადემიურ პერსონალს, სტუდენტს, ექსპერტსა თუ ნებისმიერი რანგის მეწევეს, ყველას, ვისთვისაც ცენტრის პერიოდიკა პროფესიული ინფორმაციის შევსების ერთ-ერთ საიმედო და უცვლელ წყაროდ იქცა.“

- განაცხადა ცენტრის დირექტორმა, გიორგი მაჩაბელმა. მისივე თქმით, წლების განმავლობაში, შურნალი უაღრესად საინტერესო, მაღალი პროფესიული სტანდარტის მატარებელ, პრაქტიკულ ინფორმაციაზე მორგებულ სანდო რესურსად ჩამოყალიბდა. მაღალპროფესიულ დონეზე შერჩეული ავტორები მკითხველს მრავალფეროვან და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ მასალას სთავაზობენ.

საიუბილეო საღამოზე 10 წლის განმავლობაში განული საქმიანობა შეფასდა და გამოიფინა პროგრამის ფარგლებში შექმნილი საგანმანათლებლო რესურსები - შურნალი „მასწავლებელი“, ინტერნეტგაზეთი „mastsavlebeli.ge“, „მასწავლებლის ბიბლიოთეკის“ წიგნები, სამეცნიერო-რეფერირებადი შურნალი „განათლების მეცნიერება“. სტუმრებს საჩუქრად შურნალის საიუბილეო ნომერი და საგანგებოდ ამ თარიღისთვის დამზადებული სამკერდე ნიშნები დაურიგდათ. საზეიმო განწყობა კიდევ უფრო გაახალისა იმ ადამიანების დაჯილდოვებამ, ვინც ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საგანმანათლებლო რესურსის შექმნაში, მათ შორის იყვნენ: შურნალის დირექტორი, მხატვარ-ალუსტრატორი, ტექსტების რედაქტორი, შურნალისტი და ავტორები.

„ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ყველაზე ნარმატიული პროექტი - შურნალი „მასწავლებელი“ 10 წლისაა. ნატო შეძლო, საუკეთესო ავტორების შემოკრება და ქართული მწერლები „აიძულა“ განათლების საკითხებზე ეწერათ... ამიტომ არის mastsavlebeli.ge-ს სტატიები საუკეთესო რესურსი არა მხოლოდ მასწავლებლებისთვის.“ - ამბობს ცირა ბარბაქაძე.

ზვიად კვარაცხელია ინტერნეტგაზეთ „მასწავლებლის“ ავტორობას ძალიან დიდ პასუხისმგებლობად და პატივად მიიჩნევს. ამბობს, რომ, წლების განმავლობაში, ამ ურთიერთობამ მას ძალიან ბევრი რამ შესძინა. თითქმის ყოველდღე ფიქრობს სტატიის მომზადებაზე, რომელ ამბავს ჩაუჯდეს ან რომელი უფრო აქტუალურია, თავს მოუყრის და ერთ ბლოგად აქცევს. „ეს პროცესი, როგორც ავტორს, განსაკუთრებულ ფორმას გამოყოფს, დღეების განმავლობაში, ფიქრობ და ამნიფებ სათქმელს, რომელიც საბოლოო სახით მკითხველამდე მიდის. მკითხველის რეაქციები კი - მონონება, შენიშვნები - წლების განმავლობაში გახსოვს. შეიძლება ითქვას, ამ ურთიერთობებში და ყოველდღიურ შრომაში გავიზარდე კიდევ, ბევრი რამ მომცა როგორც „მასწავლებელთან“ თანამშრომლობამ, ასევე, შემდეგ მკითხველთან უშუალო შეხებამ. ბევრ თემაზე მომიზიდავს დაწერა - ყოველთვიურად, ორ ბლოგს მაინც ვამზადებ, მათ შორის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ასევე, მძაფრ, კულტურულ, სამწერლო თუ პედაგოგიურ თემებზე, სპორტზეც კი. ერთი სიტყვით, ამ ყველაფერმა ბევრი რამ შემეყვარა და მიიძღვა რაღაცებს უფრო მეტად დავეკვირვებოდი, ძველიც გამეხსენებინა და თანამედროვეობაზეც გამეზიარებინა მზერა, უფრო სიღრმისეულად მივყოლოდი ამა თუ იმ საკითხს. ჩემს სტატიებში კიდევ ერთი ციკლია - „პორტრეტები“, რომელშიც ძალიან ბევრი ძვირფასი და საინტერესო ადა-

გვაქვს შექმნილი, სადაც შედის ეს ინფორმაცია. ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, რომელი სკოლის რომელ კლასში რა დარღვევებია. ყოველწლიურად იკვლავს ძალადობის შემთხვევები თვითონ სკოლებში. რა თქმა უნდა, ყველაზე მეტია დისციპლინური დარღვევების შემთხვევები (დაგვიანება, გაპარვა, არდამორჩილება პედაგოგზე და ა.შ.). რაც მანდატურის სამსახური შეიქმნა, თვითონ სკოლის ტერიტორიაზე ერთეული მძიმე კრიმინალური შემთხვევები თუ დაფიქსირდა. სამწუხაროდ, ხშირია სკოლაში დანაშაულო კონფლიქტები, რომლებიც გარეთ გრძელდება და ცუდად მთავრდება. სწორედ იმიტომ გადავწყვიტეთ ამ ცვლილებების შეტანა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ურთიერთობით გამოვასწოროთ ვითარება. კიდევ გავიმეორებ, უმნიშვნელოვანესია ჩვენს ორ უწყებას შორის ინფორმაციის ცვლა, რომ რამე არ გამოგვეპაროს.

ესაუბრა ლალი თვალაბაიშვილი

მიანის ცხოვრება მოექცა. ვფიქრობ, ჩემი ბლოგებიდან რამდენიმე ცალკე წიგნადაც კი გამოვიყვ. ამის გარდა, აქტიურად ვკითხულობ სხვა ავტორების სტატიებსა და ბლოგებს და მიმეჩნია, რომ ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“ გამოირჩეული რესურსია მასწავლებლებისთვის და, რაც მთავარია, მუდმივ განვითარებაშია და თითქმის ყველა საკითხზე, რაც გაინტერესებს, სიღმისეულ და სანდო პასუხებს იძლევა.

ვულოცავ ყველა იმ ადამიანს, ვინც მისი განვითარებისთვის ზრუნავს.“

შურნალის იუბილეს ერთ-ერთი ავტორი, თეა ურუშაძე რეგონიდან სტუმრობდა. ის იმ დაჯილდოებულ ადამიანთა შორის აღმოჩნდა, რომლებისთვისაც საზეიმო დაჯილდოება სიურპრიზი იყო. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა გვითხრა, რომ იუბილეზე საპატიო სტუმრის სტატუსით მოიწვიეს, მაგრამ დაჯილდოება მისთვის მართლაც სიურპრიზი აღმოჩნდა. „მართალია, შურნალი „მასწავლებელთან“, ბოლო ორი წელია, რაც ვთანამშრომლობ და ექვსი სტატია გამოვაქვეყნე, მაგრამ ზუსტად 10 წელია, ოზურგეთის ერთ-ერთი სკოლის რიგითი მასწავლებელი ვარ და პირველივე ნომრიდან მისი აქტიურობა მკითხველს და გულშემატკივარი გავხდი. მას შემდეგ ვიზრდები ამ შურნალთან ერთად. რასაკვირველია, ძალიან გამიხარდა დაჯილდოება. მინდა, მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნატალიას და ნარმატიულები ვუსურვო ამ ძალიან საჭირო რესურსს. იმედია, კიდევ უფრო წინ წავალთ.“

„ციფრები... ცხრილები... გრაფიკები... ერთმანეთს ცვლის ფერადი კადრები, რომლებზეც მათემატიკური სიმბოლოებია გამოსახული. თვალს ვერ ვწყვეტ კერანს და ყურადღებით ვუსმენ შურნალ „მასწავლებლის“ რედაქტორს, რომელიც დარბაზში მსხდომთ გვიხსნის, რა დგას ამ მათემატიკური სიმბოლოების უკან. თურმე შურნალი „მასწავლებელს“ უამრავი მკითხველი ჰყავს, თურმე შურნალი „მასწავლებელი“ ძალიან პოპულარული გამოცემაა მასწავლებელთა შორის. და ეს განცხადება კვლევებს ეფუძნება. კვლევების შედეგები გამოგნებლად შთამბეჭდავია. ვათვლიერებ აუდიტორიას, როგორც ჩანს, აქ შეკრებილები შურნალის ავტორები არიან. ისინი წელგამართულები სხედან. მათ ნამდვილად შეუძლიათ იამაყონ, რომ შურნალის ნარმატიულებში მათი წვლილიც არის. ავტორებს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ასე მგონია, დიდი ხანია ვიცნობ, რადგან მათი მუდმივი მკითხველი ვარ. ამასთან, მე მათი მადლიერიც ვარ, მათი წერილები ხომ ძალიან მეხმარება გაკვეთილებზეც და ცხოვრებაშიც. მათი საინტერესო წერილების წყალობით ჩემი გაკვეთილებიც უფრო საინტერესო ხდება და ალბათ მეც.

...სანამ შურნალის ავტორი გავხდებოდი, მხოლოდ იმ ადამიანთა მცირე ჯგუფი მიცნობდა, ვისთანაც შეხება მქონდა. მას შემდეგ, რაც ავტორი გავხდი, იმაზე მეტმა გამიცნო, ვიდრე წარმივდგენდი. ჰაერივით მჭირდებოდა პროფესიონალი მასწავლებლები, ხალხი, რომელთა რეაქციაც დამანახებდა, რომ სწორ გზაზე ვდგავარ და რასაც ვაკეთებ, სხვისთვისაც საინტერესოა. მე მჭირდებოდა დამენახა მომავალი მასწავლებლების - ჩემი სტუდენტების ინტერესი, როცა ჩემს წერილებს წაიკითხავდნენ, მჭირდებოდა მონაწილეების გაკვირვება, როცა გაიგებდნენ, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რომელთაც მე განვიხილავდი წერილებში, ასეთი ახსნაც შეიძლებოდა ჰქონოდა. ეს სურვილი შურნალმა „მასწავლებელმა“ ამისრულა.“ - წერს შურნალის საიუბილეო ნომერში „მასწავლებლის“ ერთ-ერთი ავტორი, პროფესორი ნესტან რატანი.

შურნალის კიდევ ერთი ავტორი, მასწავლებელი მაია მენაბდე კი ამბობს, რომ: „თუკი ყველაზე გადატვირთულ რეჟიმშიც კი ნახულობ სულ მცირე დროს მაინც, გახსნა „მასწავლებლის“ გვერდი და გადაიკითხო, თუნდაც გადარბენით, უსწრაფესი ტემპით, თვალის გადავლო, რა დაიდო ახალი და ინახავ იმ სტატიებს, რომლებიც მოპარულ დროში გულდასმით, ხელმეორედ უნდა წაიკითხო, ...მაშინ ნამდვილად უნდა გიხაროდეს მისი დაბადების დღე და გულწრფელად უსურვო დიდხანს ღირსეული არსებობა და კიდევ უფრო მეტი გულშემატკივარი!“

საიუბილეო საღამო, ცხადია, რედაქტორმა იმ თითოეული ადამიანისადმი მადლობით დაასრულა, ვინც ამ რესურსისთვის შრომობს და ხელს უწყობს შურნალს საქმიანობაში, მთავარი მადლობა კი მკითხველს ეკუთვნოდა. „თუ ვინმე მკითხავს, რა იქნება ჩემი მთავარი საქმიანობა კიდევ რამდენიმე წელი, ერთ-მნიშვნელოვნად ვუპასუხებ: შურნალი „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორობა.“ - განაცხადა ნატალია ინგოროყვამ.



პროფესიული განათლება

# ცვლილებები, რომელსაც ახალი კანონი მოიტანს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ქეთევან ნატარაძე, ჩვენთან ინტერვიუში პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის მიღების შესახებ ისაუბრა. ჩვენ გვასწავს, რომ გოლო წლების განმავლობაში აქტიური შეხვედრები იმართებოდა არსებულ კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით. დაინტერესებული ჯგუფები განსაკუთრებულ პრაქტიკულ გამოცდილებას იმ მუხლის მისამართით, რომელიც ცხრაკლასამთავრებულ პროფესიულ სტუდენტს ეროვნულ გამოცდაში მონაწილეობას უზღუდავდა, საკამათო იყო პედაგოგების სტატუსი და გვირგვინი საკითხი.



რატომ გადაწყდა საბოლოოდ არა ჩასწორების შეტანა, არამედ ახალი კანონის შემუშავება და რა გავლენას მოახდენს ახალი რეგულაციები სისტემის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე, ამის შესახებ გვესაუბრება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ქსენია ერეკლე.

ცვლილებები იმდენად მასშტაბური იყო, რომ ნამდვილად სწორი იყო გადაწყვეტილება – ახალი კანონპროექტის შემუშავება. მართალია, ამას დრო დასჭირდა, მაგრამ, სამაგიეროდ, საკანონმდებლო ორგანოში მისი განხილვისა და დამტკიცების შემდეგ ჩვენ გვეჩვენება გაცილებით სრულყოფილი კანონპროექტი, განათლების შესახებ, რომელიც სისტემაში არსებულ ყველა აქტიურ თემზე აკეთებს აქცენტებს, მათ შორის, აღმოიფხვრება საბაზო განათლების მქონე პირებთან მიმართებაში არსებული საკანონმდებლო ჩიხი.

ახალი კანონის ძალაში შესვლით მოგვარდება პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსის საკითხიც. კანონპროექტის საფუძველზე უკვე შემუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პროფესიული შესვლის წინაპირობები და ა.შ. ერთი შეხედვით იგივე სქემაა, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგებისთვის შეიქმნა, მაგრამ ძირითადი, თვისებრივი განსხვავებით, რასაც თავად სისტემის სპეციფიკურობა განაპირობებს, ის სულ სხვა კომპეტენციებს ითვალისწინებს, მათ შორის, დარგობრივ კონტექსტში და მალაი ოსტატობის დონეს მითითებს.

რაც შეეხება უშუალოდ ხარისხის განვითარების მიმართულებას, მიდგომა აქაც იცვლება – თუკი აქამდე მხოლოდ ავტორიზაცია წარმოადგენდა პროფესიული მასწავლებლების განვითარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს, ახალი კანონით დიდ როლს შეასრულებს რეალური თვითშეფასება, რომელიც საჯაროდ უნდა იქნება ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. ეს სისტემა ყოველთვის არსებობდა, მაგრამ, სამუხაზოდ, მხოლოდ ქალაქში და ფორმალურად. ჩვენი მოთხოვნა იქნება, წარმოდგენილ თვითშეფასებაში ნათლად და არგუმენტირებულად ჩანდეს დაწესებულებაში მიმდინარე ცოცხალი საგანმანათლებლო პროცესი და საგანმანათლებლო დაწესებულების ხედავ ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით, ცვლილებები. ბოლო 2 წლის განმავლობაში, ცენტრსა და სასწავლებლებს შორის ჩამოყალიბებული, თანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობა სრულად გამოირიცხავს მათი მხრიდან პრობლემის დაფარვის აუცილებლობას, იმიტომ რომ ამას სადამსჯელო ღონისძიება კი არა, ჩვენი ექსპერტების ვიზიტი მოყვება სასწავლებელში მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით. ზოგმა სასწავლებელმა ეს ნაბიჯი ადრე გადადგა, ზოგმა მოგვიანებით, მხოლოდ მას შემდეგ, როცა სხვისი მაგალითზე დაინახნა, რომ გულახდობლივად მხოლოდ პოზიტიურად დაუბრუნდათ უკან. გაიზარდა მომართვიანობაც. უამრავი პრობლემა შეიძლება იყოს სასწავლებელში: ადმინისტრაციული ხასიათის, შინაარსობრივი, პროგრამიდან პროგრამაზე სტუდენტის გადაყვანა, ახალი პროგრამის დაწესების მიზანშეწონილობის დასაბუ-

ლებები განხორციელება ხარისხის განვითარების შესახებ კანონში, გადავალთ 5 სტანდარტის მიხედვით სასწავლო დაწესებულებების შეფასებაზე. შინაარსობრივად, თითოეული სტანდარტი ითვალისწინებს მხოლოდ პროფესიული განათლების სპეციფიკას. ეს იქნება დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება; პროგრამების განხორციელება და განვითარება; აუცილებელი სიახლე იქნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და სერვისები, რომელიც დაწესებულებამ სტუდენტს უნდა გაუწიოს – პროფორიენტაცია, კურსდამთავრებულთა კვლევა, რომლის შედეგებიც შემდგომ საფუძვლად დაედება სასწავლო პროცესს ან პროგრამაში ცვლილებებს და რაც საგანმანათლებლო ავტორიზაციის დონეზე; ადამიანური რესურსების განვითარებაზე ორიენტირებულობა – აქ მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული მუშაკების გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება სანარმოო სწავლების ინსტრუქტორებს, რომლებიც პროგრამების უშუალო და პრაქტიკული განმახორციელებლები არიან. დღემდე ისინი ავტორიზაციის მიღმა რჩებოდნენ, რადგან არ აქვთ პროფესიული მასწავლებლის სტატუსი, როგორც სანარმოო პერსონალს; დაბოლოს, სტანდარტების აუცილებელი ნაწილი ხდება მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსის ადეკვატურობა.

ახლა ჩვენი მთავარი ინტერესია მომზადებული შეხედვების სისტემა ამ სიახლეს, კარგად გაეცნოს თითოეული სტანდარტის შინაარსს, რადგან ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის სათანადოდ ფუნქციონირების გარეშე სასწავლო დაწესებულება წარმატებული ვერ იქნება. ამიტომ, უკვე დავიწყეთ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების (ხარისხის მენეჯერი, ზოგ დიდ დაწესებულებაში სტრუქტურული ერთეულია შექმნილი) ტრენინგები – თბილისში უკვე ჩატარდა, დასავლეთ საქართველოს წარმომადგენლებისთვის მიმდინარეობს ზუგდიდში და კიდევ ექვსი ტრენინგი ჩატარდება ქვეყნის მასშტაბით.

## მნიშვნელოვანი სიახლეები

იქნება სიახლედ არც კი ითვლებოდა მოდულური პროგრამების დაწესებულებაზე საუბარი, მაგრამ ეს იმდენად მნიშვნელოვანი და აქტიური კომპონენტია სისტემისადმი ინტერესის გაზრდის თვალსაზრისით, რომ მინდა ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, მოდულური პროგრამების მხარდაჭერის ქვეპროგრამა ამ ნაწილის რეფორმის მონიტორინგს აგრძელებს. იხვეწება და იზრდება პროგრამების რაოდენობა, ივნისის ბოლოსთვის უკვე დასრულებულ სახეს მიიღებს და დამტკიცდება ყველა ჩარჩო დოკუმენტი, რაც მომდევნო წლებშიც შენარჩუნდება, თუმცა არსებული კვალიფიკაციის გაუმჯობესება ყოველთვის იქნება დღის წესრიგში და მათი სრულყოფისათ-

შენებლო მიმართულება დამატება და სულ 24 დუალური მიდგომით განხორციელებული პროგრამა გვეჩვენება. ჩვენი ექსპერტები აკვირდებიან პროცესს და ორი თვის თავზე დაწერვის მიმდინარეობის სრული სურათი გვეჩვენება.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი სიახლის შესახებ, რაც იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ პროფესიული განათლებისადმი ინტერესის გაზრდაზეც მიანიშნებს. რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, როცა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ინტერესდება პროფესიული განათლებით, დღეისათვის 27 უნივერსიტეტი ახორციელებს ჩვენს პროგრამებს, მაგრამ უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იჩენს ამ ინიციატივას. დაბა აგარაში არ არის პროფსასწავლებელი, ამიტომ №1 საჯარო სკოლამ თემისთვის მნიშვნელოვანი პროგრამების განხორციელების სურვილი გამოთქვა. მას ამ იდეის განხორციელებაში გაეროს განვითარების პროგრამა დაეხმარა, სოფლის მცხოვრებლებს საშუალება მიეცათ სკოლის სივრცეში დაეუფლონ პროფესიას. ეს გზა აირჩია თბილისის, ბორჯომისა და ბათუმის რაიონებში კერძო სკოლამაც.

ეს სიახლე კი ჯერ მხოლოდ იდეის დონეზეა და მის პილოტირებას წელს ვაპირებთ. ესაა დამატებითი მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფისათვის და მას ვერიგოვართ ენობაზე. თუ ავტორიზაციის დროს ვამოწმებთ სასწავლებლის მზაობას სასწავლო პროცესის დასაწყებად, რასაც მოსდევს პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი, ვერიგოვართ ამონებებს შედეგს. ვინდა, რომ 2 წლის თავზე, კანონის დონეზე გახდეს შესაძლებელი ამ სისტემის დაწესებულება. ესეც, რა თქმა უნდა, ჩვენი ცენტრის პასუხისმგებლობაა, თუმცა თავისი წილი პასუხისმგებლობა დამსაქმებელმაც უნდა აიღოს, რადგან ვერც ავტორიზაციის, ვერც მონიტორინგის და ვერც ვერიფიკაციის პროცესი ვერ იქნება სრულფასოვანი თუ მას მხოლოდ განათლების სპეციალისტები შეაფასებენ.

## რეფორმის მთავარი მიმართულებები

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საგანმანათლებლო რესურსებს ვგულისხმობ. ჩვენი სისტემის არსებობის ისტორიაში პირველად, ოთხი წლის წინ დაიწყო და წელსაც გრძელდება ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნა პროფესიული სტუდენტებისთვის. უკვე არსებულ 70-მდე სახელმძღვანელოს, წელს, სულ ცოტა 30 მაინც დამატდება. მათი ავტორები არიან დარგის სპეციალისტები, აკადემიური პერსონალი, პროგრამების ავტორები ან კონსულტანტები. სახელმძღვანელოები ცენტრის ვებგვერდზეა განთავსებული და მისით სარგებლობა შეუზღუდავად შეუძლია ყველა სტუდენტს, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. გარდა სახელმძღვანელოებისა, ქართულ ენაზე შექმნილია აგრეთვე მეთოდური მასალა სტუდენტებისთვის და სასწავლო რესურსები: პრეზენტაციები, ანიმაციები, სასწავლო ფილმები, მხოლოდ მენარმეობის მიმართულებით 6 ასეთი ფილმი შექმნილი.

ძალიან კარგი პროექტი დაიწყო შარშან და წელსაც გრძელდება, ესაა შრომითი უნარების შეტანა სკოლებში, რასაც პროფორიენტაციული დატრენინგები აქვს. კოლეჯებში შემუშავდა 2-3-კვირიანი, მოკლევადიანი პროგრამები სხვადასხვა პროფესიებში და სთავაზობენ სკოლებს შესაბამისი აღჭურვილობით, რომელსაც ტოვებენ ადგილზე. მომავალ წელს სხვა სკოლებს სთავაზობენ მსგავს თანამშრომლობას. ეს გამოცდილება უკვე 20-მდე კოლეჯს აქვს.

რაც შეეხება პროფორიენტაციას, ეს მხოლოდ პროფსასწავლებლის საქმე არაა, იგი სკოლის სერიოზული საზრუნავი უნდა იყოს და მხოლოდ ფლაერების დაბეჭდვა-გაერცელებას არ გულისხმობს, როგორც ეს ბევრს ჰგონია. თუ გერმანიის მაგალითს გავითვალისწინებთ, პროფორიენტაციის წარმართვას მთელი განათლების სისტემა ემსახურება. მე-6 კლასელმა ბავშვმა უკვე იცის აკადემიური მიმართულებით გააგრძელებს სწავლას თუ პროფესიული. ამის შემდეგ, მოზარდის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, მიდის მუშაობა მისთვის ყველაზე სასურველი მიმართულების შესარჩევად. გერმანიაში პროცესს პროფორიენტაციის სპეციალისტები უძღვებიან. ახლა, როცა ამდენი სიახლე ინერგება და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობაც იზრდება, პროფესიული ორიენტაცია ნამდვილად დაეხმარება ახალგაზრდებს არჩევანის გაკეთებაში და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

**თუკი აქამდე მხოლოდ ავტორიზაცია წარმოადგენდა პროფესიული მასწავლებლების განვითარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს, ახალი კანონით დიდ როლს შეასრულებს რეალური თვითშეფასება, რომელიც საჯაროდ უნდა იქნება ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. ჩვენი მოთხოვნა იქნება, წარმოდგენილ თვითშეფასებაში ნათლად და არგუმენტირებულად ჩანდეს დაწესებულებაში მიმდინარე ცოცხალი საგანმანათლებლო პროცესი და საგანმანათლებლო დაწესებულების ხედავ ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით, ცვლილებები.**

თება, სტუდენტის სტატუსის მოპოვება და სხვ. მთავარია, დაწესებულება ხედავდეს მასში არსებულ პრობლემას, ჩვენი ჩარევით, კონსულტაციით ამას ეშველება, პრობლემა, როცა ვერ ხედავს, ვერ ხედავს რა აქვს გამოსასწორებელი.

პროფესიული განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი სულ რამდენიმე წელს ითვლის და, უმეტესწილად, უმაღლესი განათლების სისტემის იდენტიფიკაცია, არადა საგანმანათლებლო პროცესი, თავისი შინაარსით, სრულიად განსხვავებულია. მით უმეტეს, როცა სამუშაოზე, კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებაზე საუბარი. ამ გარემოებამ თავისთავად გამოიწვია ავტორიზაციის სტანდარტების გადახედვის აუცილებლობა. უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციების და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სივრცის გამოცდილების გათვალისწინებით, ჩვენ უკვე დავასრულეთ მუშაობა ავტორიზაციის სტანდარტების ახალ პროექტზე. აქამდე ვაფასებდით სამი სტანდარტით – პროგრამები, მატერიალური რესურსი და ადამიანური რესურსი. მას შემდეგ, რაც ახალი კანონი შევა ძალაში და შესაბამისად ცვლი-

ვის მუშაობა არასდროს დასრულდება. შარშან, გაეროს განვითარების პროგრამისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის დახმარებით, პირველად ჩვეულებით სწავლებაში დუალური პროგრამები სოფლის მეურნეობის მიმართულებით. შემდეგ პროგრამების სპექტრი გაიზარდა და დღეს 18 დასახელების პროგრამა ხორციელდება დუალურად. სულ დაწერვის პროცესში 120-მდე ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც სხვადასხვა სფეროში, დაახლოებით 250-მდე პროფესიის მოიცავს. აღსანიშნავია, რომ წელს პროფესიული განათლების სარეგულირებო ტრანსპორტის მიმართულება დამატდა. სასწავლებელი რკინიგზის დეპარტამენტთან ერთად დაფუძნდა და რაც ნიშანდობლივია, კოლეჯში სწავლის მსურველთა ნაწილი თავად რკინიგზის თანამშრომლები არიან, რომელთაც ჩათვალეს, რომ უნდა ჰქონდეთ ფორმალური განათლება. სტუდენტთათვის გამოცხადებული ვაკანსიები მთლიანად შევსებულია.

მიმდინარე წლის მთავარი პრიორიტეტი იქნება საგნობრივი პროგრამების მოდულურით სრულად ჩანაცვლება. პროცესი დაწყებულია, არსებულ ჩამონათვალს, შემოდგომაზე, სამ-

# რამდენად უზრუნველყოფს სკოლა საბაზო უნარის განვითარებას

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ნიგნიერების საერთაშორისო კვლევის – PIRLS-ის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც 9-10 წლის მოსწავლეებში კითხვის უნარს იკვლევს. კვლევის თანახმად, 2006 წელთან შედარებით მოსწავლეებმა შედეგები მცირედით, მაგრამ მაინც გააუმჯობესეს, შემცირდა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც მინიმალურ დონეზე არ აქვთ განვითარებული საკითხის გააზრების უნარი. თუმცა კვლევაში ჩართულ 6000-მდე მოსწავლეს შორის საკითხის გააზრება 14%-ს მაინც უჭირს. გარდა ამისა, სიახლეა ისიც, რომ კვლევაში პირველად მონაწილეობდნენ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები, რომელთა შედეგებიც ქართულ მოსწავლეებზე დაბალია.

საგანგებოთა თუ არა კვლევით გამოვლენილი მაჩვენებელი 9-10 წლის მოსწავლეთა 14 პროცენტში, რომელსაც მინიმალურ დონეზე არ აქვს განვითარებული კითხვის უნარი და რა არის ის ძირითადი ფაქტორები, რომელიც შედეგების მკვეთრად გაუმჯობესებას უშლის ხელს – ამის შესახებ გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ია კუტალაძე.



– ქალბატონო ია, ნიგნიერების საერთაშორისო კვლევაში უკვე მესამედ მივიღეთ მონაწილეობა და, ამ ხნის განმავლობაში, მოსწავლეთა შედეგები ისევე არასახარბიელოა. როგორ აფასებთ კვლევის შედეგებს, არის თუ არა 14% სერიოზულად დამაფიქრებელი?

– PIRLS-ის კვლევა ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება და საქართველო, 2006 წლიდან უკვე კვლევის სამ ციკლში მონაწილეობდა. ამჯერად 2016 წლის კვლევის მონაცემები გავსაჯაროეთ. თუ შედეგების 10 წლიან დინამიკას შევხედავთ, 2006 წლიდან – 2016 წლამდე მოსწავლეთა საშუალო მიღწევა გაიზარდა, ამასთან, შემცირდა იმ მოსწავლეთა პროცენტული წილი, რომელთაც კითხვის (ნაკითხულს გააზრების) მინიმალური კომპეტენცია არ გააჩნიათ. მიღწევების გაუმჯობესების პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, დღესაც ჩვენი მოსწავლეების შედეგი საერთაშორისო საშუალო ნიშნულზე დაბალია, უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ჩვენი მოსწავლეების, დაახლოებით, 14%-ს უჭირს ნაკითხული ტექსტის გააზრება; ეს მოსწავლეთა ის კრიტიკული ნაწილია, რომელსაც კითხვის მინიმალური კომპეტენცია არ გააჩნია, რადგან დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილი დავალებების გადაწყვეტაც კი არ შეუძლიათ. მაგალითად, უჭირთ ტექსტში ცხადად, ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის ამოკრეფა, უშუალო დასკვნის გამოტანა. თავისთავად, ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა, შეიძლება ითქვას, რომ ისინი განწირულნი არიან აკადემიური მარცხისთვის საშუალო განათლების მომდევნო საფეხურზე. განვმარტავ რატომ ვაფასებ ასე კრიტიკულად ამ შედეგს: სწავლების საფუძველი კითხვა და იმისთვის, რომ ისწავლონ, მათ სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ტექსტები უნდა ნაკითხონ, გააზრონ, გააანალიზონ. ამ უნარის გარეშე როგორ უნდა ისწავლოს ბავშვმა, მაგალითად, ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ისტორია და ა.შ. ცხადია, მოსწავლეთა 14%-ს სწავლაში პრობლემები შეექმნება. ეს შედეგი, რა თქმა უნდა, ძალიან დამაფიქრებელია.

2006 წლის მონაცემებით, ასეთი ბავშვების რაოდენობა 18% იყო, 2016 წლის მონაცემებით – შემცირდა, მაგრამ არა დრამატულად. კითხვა საბაზო უნარია და ყველაფერი მასზეა დაფუძნებული. როგორ შეიძლება ხარისხიან სასკოლო განათლებაზე ვისაუბროთ, თუ ის ვერ უზრუნველყოფს ამ საბაზო უნარის განვითარებას დაწყებული საფეხურზე მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილთან. 14%-ს კითხვის მინიმალური კომპეტენცია არა აქვს, თუმცა გარკვეული თვალსაზრისით, რისკ ვგუფს წარმოადგენს მოსწავლეთა 26%, რომელიც კითხვის უნარის განვითარების თვალსაზრისით მიღწევის დაბალ საფეხურზეა, ანუ მხოლოდ მინიმალურ კომპეტენციებს ფლობს კითხვაში; კითხვის უნარის შემდგომი განვითარებისთვის სათანადო მხარდაჭერის არარსებობის შემთხვევაში, მათაც შეიძლება შეექმნათ სწავლის პრობლემები მომდევნო კლასებში. ამიტომ, ამ შედეგებს ძალიან კრიტიკულად განაწილებს – გააზრება და შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების დასახვა სჭირდება.

საერთაშორისო კვლევები მოსწავლეთა მიღწევების წარმოადგენს ორგანოდ ხდება: ერთი – საშუალო მიღწევა და მეორე – მოსწავლეთა პროცენტული განაწილება მიღწევის საფეხურების მიხედვით. მიღწევის ოთხი საფეხური გვაქვს – უმაღლესი, მაღალი, საშუალო, დაბალი. მოსწავლეთა 14%, რომელთაც ჩვენ შემოთ ვსაუბრობდით, მიღწევის დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებსაც ვერ ძლევენ. აქვე აღვნიშნავ, რომ უმაღლეს საფეხურზე მოსწავლეთა 2%-ია, მაღალზე კი – 20%.

ჩვენ აღვნიშნეთ რომ 2006 წლიდან შედეგი გაუმჯობესებულა, თუ კითხვას ასე დავსვამთ – ვის ხარჯზე გაუმჯობესდა? ვინ გააუმჯობესა? მაშინ არც თუ სახარბიელო პასუხს მივიღებთ. გაუმჯობესების მაჩვენებელი ყველაზე ნაკლებია სწორედ იმ ჯგუფში, რომელთა მიღწევებიც კრიტიკულად დაბალია, ანუ მიღწევის დაბალი საფეხურის მიღმა. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი, რომ ამ კრიტიკულმა ნაწილმა შედეგი გააუმჯობესოს და კითხვაში მინიმალური სტანდარტი დააკმაყოფილოს.

– კვლევით ისიც გამოიკვეთა, რომ კერძო სკოლის მოსწავლეს უფრო მაღალი მიღწევები აქვთ, ვიდრე საჯარო სკოლის მოსწავლეს და ქალაქის სკოლის მოსწავლეს უფრო მაღალი, ვიდრე სოფლის სკოლის მოსწავლეს, არის თუ არა, ამ თვალსაზრისით, მკვეთრი სხვაობა და რა არის ამის მიზეზები?

– როცა კომპლექსურ ანალიზს ვატარებთ, ჩანს, რომ ეს სხვა-

ობა, ძირითადად, რესურსებზე არასაკმარისი წვდომითაა გამოწვეული. სოფელში მცხოვრებ მოსწავლეს ნაკლებ რესურსზე მიუწვდება ხელი როგორც სახლში, ისე სკოლაში. ის სხვაობაც, რაც ქალაქსა და სოფელში მცხოვრებ მოსწავლეს შორის არსებობს, რესურსების სხვადასხვაობითაა გამოწვეული. ქალაქში ბავშვებს მეტ სასწავლო რესურსზე მიუწვდებათ ხელი, მაგალითად, მუზეუმები და ბიბლიოთეკები და სხვა მრავალი, უფრო მეტ მშობელს აქვს უმაღლესი განათლება მიღებული, უფრო აქტიურად არიან ჩართული ბავშვის განათლებაში და სხვ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ამ სხვაობას განაპირობებს, არის სკოლამდელ განათლებაში ჩართულობა. ქალაქში მცხოვრები ბავშვები უფრო მეტად დადიან ბაღში, რაც დადებითად აისახება მათ სასკოლო მზაობასა და შემდგომ კითხვის უნარის განვითარებაზე. Pirls-მაც და სხვა კვლევებმაც აჩვენეს, რომ ბავშვები, რომლებიც ბაღში დადიან, უკეთეს შედეგებს აჩვენებენ კითხვაში მეოთხე კლასში, ვიდრე ბავშვები, რომლებიც არ იყვნენ ჩართულები სკოლამდელ განათლებაში. აღვნიშნავ, რომ ქალაქის სკოლების მოსწავლეთა 11%-ს ნაკითხულის გააზრების მინიმალური კომპეტენცია არ აქვს, სოფლად მდებარე სკოლის მოსწავლეებში კი ეს პროცენტი 18-ს აღწევს. ბევრი კომპლექსური ფაქტორის შედეგია ის, რომ სოფელში მცხოვრებ ბავშვს უფრო დაბალი შედეგი აქვს, ვიდრე ქალაქში მცხოვრებ მოსწავლეს.

– კიდევ რა მიზეზია, რის გამოც სათანადოდ ვერ ვაუმჯობესებთ შედეგებს?

– კვლევა აჩვენებს, რომ რესურსების უკმარისობა ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებაზე. რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია გარემო, სადაც კითხვის უნარის განვითარება ხდება. დავინიშნავ, მოსწავლეს – მშობელია ბავშვისთვის კითხვის პირველი მასწავლებელი, თუ ბავშვს სახლში კარგი საბავშვო ბიბლიოთეკა აქვს, ხშირად უკითხვენ ნიგნს ან თავად მშობლები კითხულობენ ხშირად და ბავშვი ხედავს, რომ ნიგნი ოჯახში ღირებულება, მასაც პოზიტიური დამოკიდებულება უყალიბდება კითხვისადმი, მოსწავლეს კითხვა. შესაბამისად, ასეთ ბავშვებს გაცილებით უკეთ უვითარდებათ კითხვის უნარი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის გარემოც – თუ მოსწავლეს კვალიფიციური პედაგოგი ჰყავს, რომელიც კარგად ფლობს კითხვის სწავლების სტრატეგიებს (იცის როგორ ასწავლოს ბავშვს კითხვა), ითვალისწინებს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, კარგად ურჩევს საკითხავ მასალას, აქვთ კარგი ბიბლიოთეკა და წვდომა საინტერესო ნიგნებზე, ამასთან, სახელმძღვანელოებში საინტერესო ტექსტები მოცემული, რომელიც მოსწავლეს კითხვისადმი ინტერესს უღვივებს, ზოგადად, სკოლა ორიენტირებულია ბავშვის ნიგნიერების განვითარებაზე და შესაბამისი აქტივობებს ახორციელებს, რასაკვირველია, ასეთ სკოლაში ბავშვებს უფრო მაღალი მიღწევები ექნებათ. რესურსები სახლში და რესურსები სკოლაში – ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებაზე აისახება. ბავშვს სჭირდება მხარდაჭერა როგორც სახლში, არაფორმალურ დონეზე, ისე სკოლაში, სწავლის ფორმალურ გარემოში; ამ გარემოში კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის კვალიფიკაცია და მხარდაჭერა.

– ნიგნიერების საერთაშორისო კვლევამ პირველად შეაფასა ინტერნეტში მოცემული ინფორმაციის კითხვის უნარები, როგორია ePIRLS-ის შედეგები?

– დიას, ეს ახალი კომპონენტია, რაც ნიგნიერების საერთაშორისო კვლევას დაემატა და აქ ოდნავ უფრო დაბალია ჩვენი შედეგები, ვიდრე, ჩვეულებრივ სტანდარტულ ნიგნიერების კვლევაში. თუმცა, ყველა მონაწილე ქვეყანაში ვლინდება ეს ტენდენცია – ამ ნაწილში მოსწავლეთა მიღწევები უფრო დაბალია. ესეც დასაფიქრებელი ფაქტორია, რადგან დაწყებით საფეხურზე პირველკლასელებისთვის კომპიუტერებით უზრუნველყოფაზე დიდი რესურსი იხარჯება. აქაც, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მასწავლებელთა კვალიფიკაცია და ელექტრონული რესურსების ეფექტურად გამოყენება, თუმცა, როგორც ფსიქოლოგი, ვიტყვოდი, რომ საჭიროა მსჯელობის დაწყება იმაზე, რამდენად გამართლებულია ამ ასაკში კომპიუტერების აქტიური გამოყენება.

ePIRLS-ში სულ 5600 მოსწავლე მონაწილეობდა და კვლევის შედეგები, დაახლოებით, იგივეა, რაც ნიგნიერების საერთაშო-

რისო კვლევამ აჩვენა. მაჩვენებლები, საფეხურებრივი მიღწევების მიხედვით, ასე განაწილდა: უმაღლესი მიღწევა აქვს მოსწავლეთა 1%-ს (საერთაშორისო სტანდარტია 12%), მაღალი – 16%-ს (საერთაშორისო სტანდარტია 50%), საშუალო – 54%-ს (საერთაშორისო სტანდარტია 84%), დაბალი – 85%-ს (საერთაშორისო სტანდარტია 97%). დაახლოებით 15%-ია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც მინიმალურ დონეზეც ვერ ახერხებენ ნაკითხულის გააზრებას.

– კვლევაში პირველად მიიღეს მონაწილეობა არაქართულენოვანმა მოსწავლეებმა. როგორია მათი კითხვის უნარები, განსხვავდება თუ არა ქართველი მოსწავლეების შედეგებისგან?

– 2016 წლის ნიგნიერების კვლევაში აზერბაიჯანული სექტორის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა, ტესტები მშობლიურ ენაზე შეესრულა. მათ კიდევ უფრო დაბალი შედეგები აჩვენეს, ვიდრე იმ ბავშვებმა, რომლებმაც ტესტი ქართულ ენაზე შეასრულეს. განსხვავება მკვეთრია და მნიშვნელოვნად დაბალი.

ამის მიზეზიც არასაკმარისი რესურსებია. მათი ინტეგრაცია და სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია მეტი ყურადღება მიექცეს ეთნიკურ უმცირესობებს, თუმცა, ასეთივე ყურადღებას საჭიროებენ ქართველი ბავშვები, რომლებიც ჩვეულებრივ საჯარო სკოლებში სწავლობენ.

მე-7 კლასში ჩავატარეთ სახელმწიფო შეფასება „ქართული, როგორც მეორე ენა“. აქაც სერიოზული პრობლემები იკვეთება. გარემოში, სადაც, ძირითადად, ეთნიკური უმცირესობაა დასახლებული, მოსწავლეების მიღწევები ქართულ ენაში ძალიან დაბალია. მნიშვნელოვანია, საქართველოს მოქალაქეებმა სახელმწიფო ენა კარგად ისწავლონ. ვუქმნით მათ სათანადო პირობებსა და მოტივაციას? ცხადია, ამ პრობლემასაც კომპლექსურად უნდა შევხედეთ და შევძლოთ ქმედითი ღონისძიებების დასახვა.

– ვინ არის 2016 წლის ნიგნიერების საერთაშორისო კვლევის ლიდერი ქვეყანა და რომელიც ქვეყნებმა შეძლეს შედეგების მკვეთრად გაუმჯობესება?

– კვლევაში 50 ქვეყნის 300 ათასზე მეტი მოსწავლე მონაწილეობს, რეიტინგული სიის ლიდერები არიან სინგაპური და რუსეთი; პოსტსაბჭოთა ქვეყნები – ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, ყველა საერთაშორისო კვლევაში, ჩვენზე კარგ შედეგებს აჩვენებენ, რუსეთიც, ყველა საერთაშორისო კვლევაში, რეიტინგულ სიაში, ჩვენზე წინ დგას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ საშუალო ნიშნულზე ქვემოთ ვართ. საქართველოში ძალიან ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ, პირველ რიგში, არსებითად შემცირდეს იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებსაც მინიმალურ დონეზეც არ აქვთ განვითარებული ნაკითხულის გააზრების უნარი. შესაბამისი მხარდაჭერის შემთხვევაში, მინიმალურ დონეზე, სწავლა ყველა ბავშვს შეუძლია, ამიტომ საშუალო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მოსწავლეები, თავისი ასაკის შესაბამისად, საბაზო დონეზე მინიმუმ ფლობდნენ კითხვის უნარს.

– როგორ ვაუმჯობესებთ შედეგებს? კვლევიდან კვლევამდე თუ ხდება თვალის მიდევნება იმ ნაბიჯებზე, რამაც უკეთეს შედეგებზე უნდა გავიყვანოს?

– არიან ქვეყნები, რომლებიც მეტს ხარჯავენ განათლებაზე და მათი შედეგები საკმაოდ მაღალია. თუმცა რესურსებსაც გააზრებული ხარჯვა უნდა. ერთი-ორი ისეთი ქვეყანაცაა, რომელიც ჩვენზე მეტს ხარჯავს, მაგრამ შედეგი ჩვენზე დაბალი აქვთ.

პირველ რიგში, სასკოლო განათლებაში მეტი ინვესტიცია უნდა ჩაიდოს. ზუსტად უნდა განისაზღვროს ყველაზე მეტად სად უჭირს სისტემას, სად სჭირდება მხარდაჭერა და ფინანსები, პირველ რიგში, იქითკენ მივმართოთ. შეიძლება დიდი ინვესტიცია ჩაიდოს, მაგრამ იმდენად არაეფექტურად დაიხარჯოს, რომ არანაირი შედეგი არ მოგვცეს. ცვლილებები სისტემური უნდა იყოს და, ამასთან, პრიორიტეტებსა და პრობლემებზე ორიენტირებული, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შევძლებთ შედეგების მკვეთრად გაუმჯობესებას.

ჩვენი ცენტრის ფუნქცია კვლევის კვალიფიციურად დაგეგმვა, ადმინისტრირება და ანალიზის მომზადება. კვლევის შედეგები და რეკომენდაციები სამინისტროს წარედგინება, ამის შემდეგ უკვე პოლიტიკის დამგეგმვათა პრეროგატივაა, რა შეიცვალოს და როგორ. კვლევის ანგარიშები საჯაროა, ცენტრის ვებგვერდზეა განთავსებული და ხელმისაწვდომია ყველა დონეზე რეგულირების პირისთვის.

ესაუბრა ლალი ჯილაძე

საოქოლო გაცემის

ბულინგისა და ძალადობის თემა დანახვით კლასებში

ბულინგი და ძალადობა აქტუალური თემაა. თემა, რომელიც მსოფლიო განხილვის საგანი გახდა, მისი აქტუალობიდან გამომდინარე. აქტუალობა კი, ბულინგისა და ძალადობის ფაქტების გამრავლებამ და გამრავალფეროვნებამ განაპირობა. რა არის ბულინგი, ძალადობა, რა მსგავსება-განსხვავებაა მათ შორის? ბულინგი ნიშნავს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელიც ადამიანის (ბავშვის, მოზარდის და სხვ.) მიმართ, თანატოლების ან სხვა ჯგუფის მიერ მრავალჯერადად ხორციელდება. ბულინგის ქართულ შესატყვისობად შეიძლება ჩაითვალოს: შარიათობა, ჩხუბისთაობა, ყოჩობა... ძალადობა კი ერთი ადამიანის მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედება ერთი პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ და მეტწილად ერთჯერად ხასიათს ატარებს.

თანამედროვე საზოგადოებაში ბულინგის და ძალადობის ბევრი სახეობა დამკვიდრდა, როგორც: კიბერ ბულინგი; სატელევიზიო ბულინგი; ჯგუფური ძალადობა; სექსუალური ბულინგი; ემოციური ბულინგი; სიტყვიერი ბულინგი; ფიზიკური ბულინგი და სხვ.

ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ განსაკუთრებით საშიში გახდა კიბერ ბულინგი („ლურჯი ვეშაპი“).

ბულინგს და ძალადობას ჰყავს მოძალადე და მსხვერპლი. ჩემი აზრით, ორივე დაზარალებულია: პირველი იმიტომ, რომ შეუძლია ჩაიდინოს მიუღებელი საქციელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ცნობიერებაში ყველაფერი წესრიგში არ არის. მეორე კი იმიტომ, რომ მას უზიანდება ფსიქიკა, განიცდის დეგრადაციას.

ბევრი ინერტია და ბევრს საუბრობენ პრევენციისზე. სპეციალისტები თანხმდებიან, რომ საჭიროა კონსტრუქციული, შეთანხმებული (მშობელი, სკოლა, საზოგადოება) ქმედებები, უნდა ამალდეს ცნობიერება, ეტაპობრივად განხორციელდეს ძალადობრივი ქმედების პრევენცია, პატარა ასაკიდანვე: პრობლემის იდენტიფიცირება; პრობლემის არსებობის აღიარება; პრობლემის განსაზღვრა (არსი, სერიოზულობა, სისშირე და სხვ.); სამუშაო გეგმის შედგენა.

ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ სად და ვის მიერ ხორციელდება ძალადობრივი ქმედებები.

ამ სტატიაში შევხებით სკოლის შემთხვევას, კონკრეტულად როგორ მივანოდოთ დანყებით კლასებს ინფორმაცია? ძალადობის მაგალითები დიდი ხარისხითაა წარმოდგენილი საბავშვო და საშუალო საფეხურზე. როცა მოზარდები თავის დამკვიდრებას ცდილობენ, ბევრი ძალადობის გზას ირჩევს (არა მარტო ამ შემთხვევისათვის). ხშირად მოძალადე ცდილობს ძლიერად გამოიყურებოდეს, ეუხეშება მასწავლებლებს, მშობლებს, და-ძმას და სხვებს. თანდათან უჩნდება შიში, რომ თვითონ გახდება ძალადობის მსხვერპლი და უფრო და უფრო აგრესიული ხდება. ეს ძალიან საშიში ტენდენციაა. მოზარდების ძალადობრივ ქმედებებს ხშირად დაბალი კლასების მოსწავლეები ხედავენ, გავლენის ქვეშ ექცევიან და უფროსების ქმედებებს იმეორებენ, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია პატარების ცნობიერების ამაღლება. კერძოდ, დანყებითი კლასების მოსწავლეები უნდა იცნობდნენ ცნებებს – ბულინგი, ძალადობა და ასხვავებდნენ ბავშვური სიცელქისგან. ბავშვები უნდა მივაჩვიოთ ძალადობრივი ქმედებების გამოვლენას, დაარღვიონ სიჩუმე, არ იყვნენ მოძალადეები და ა.შ.

რადგან სკოლა ის ადგილია, სადაც ადამიანი, ცოდნასთან ერთად, სასიცოცხლოდ აუცილებელ უნარებსაც იძენს, დიდი ძალისხმევა, მონდომება და კოორდინირებული მოქმედება სჭირდებათ მშობლებს და მასწავლებლებს.

გამომდინარე დანყებითი კლასების ასაკობრივი თავისებურებებიდან, ამ თემის მიწოდება მარტივი არ არის. საჭიროა ტერმინების გამარტივება, ინფორმაციის გასაგებ ენაზე მიწოდება, ისეთი აქტივობების შერჩევა, რომელიც მოსწავლეთა ჩართულობას ვაზრდის.

გთავაზობთ მეორე კლასში ჩატარებულ ინოვაციურ გაკვეთილს, თემაზე: „ბულინგი – ძალადობა თუ ბავშვური სიცელქე“.

**მოსამზადებელი პერიოდი:** მოვიძიე ამ ასაკის შესაბამისი მოკლე (5-5 წუთიანი) ვიდეოები ბულინგსა და ძალადობაზე. მოვამზადე სიტუაციური ამოცანები ჯგუფური მუშაობისთვის, ყველა საჭირო რესურსი (კომპიუტერი, პროექტორი, ფერადი ქაღალდები, მარკერები, ფორმატის ქაღალდი).

გაცემის გეგმა

კლასი/კლასები	მე-2
მასწავლებელი	ნატო კვარაცხელია
ჩატარების დრო	26.03.2018
გაკვეთილის თემა	ბულინგი, ძალადობა თუ ბავშვური სიცელქე
გაკვეთილის ხანგრძლივობა	45 წუთი
კლასის დახასიათება	კლასში 3 ზღერბაიჯანულენოვანი მოსწავლეა, 3-ვე თანაბარი შესაძლებლობის მქონე. განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენენ მათემატიკისადმი. შედარებით უჭირთ ქართულად აზროვნება, ენობრივი ბარიერის გამო, თუმცა, გამარტივების შემთხვევაში, მაღალ სააზროვნო უნარებზეც გადაიან.
სასწავლო მიზნები და მოსალოდნელი შედეგები	მოსწავლეები გაეცნობიან: * ბულინგისა და ძალადობის ცნებებსა და სახეებს, ბავშვური სიცელქისგან განმასხვავებელ ნიშნებს; * მოძალადისა და მსხვერპლისთვის დამახასიათებელ ნიშნებს; * მოსწავლეებს ჩამოუყალიბდებათ უარყოფითი დამოკიდებულება ყოველგვარი ძალადობისადმი; * ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ტოლერანტული კულტურის განვითარებას. <b>ქართ. II.2. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის სხვადასხვა სახის ტექსტი და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.</b> შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: * ილუსტრაციების მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ; * გადმოცემს მოსმენილი ტექსტის შინაარსს; * ტექსტზე დაყრდნობით ახასიათებს პერსონაჟებს (მათ გარეგნობას, თვისებებს); * გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟისა და მისი მოქმედების მიმართ (მომწონს / არ მომწონს, კარგად მოიქცა / ცუდად მოიქცა; კეთილია, გონიერია და ა.შ.); * ისმენს ტექსტს და ასახელებს შესაბამისი თემატიკის მულტიფილმს, საბავშვო ფილმს; იხსენებს მსგავსსა და განსხვავებულ ადგილებს ამ მულტიფილმებიდან და საბავშვო ფილმებიდან; * აკავშირებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავს პირად გამოცდილებასთან; * გამოხატავს კონკრეტული პერსონაჟის ქმედებით აღძრულ ემოციებს (მაგ., გამაკვირვა, შემეცოდა და ა.შ.); * მონაწილეობს პერსონაჟის, ობიექტის ან მოვლენის ჯგუფურ დახასიათებაში.

გაკვეთილის მსვლელობა/საკლასო მენეჯმენტი	<b>A ფაზა/ გამოწვევა – 3წთ</b> * ფილმის ჩვენება ბულინგზე. <b>B ფაზა/ ცოდნის კონსტრუირება – 35წთ</b> * ფილმის ანალიზი გონებრივი იერიშით „რა მოხდა?“ მოსწავლეები ასახელებენ ყველაფერს, რაც ნახეს და ემოციებს, რაც განიცადეს. მასწავლებლის დახმარებით, აჯგუფებენ და ახარისხებენ – 10წთ * მინი-ლექცია: „რა არის ბულინგი?“ მასწავლებელი განმარტავს, ფლიფარტზე წერს, მოსწავლეებთან ერთად, დამახასიათებელ ნიშნებს (ფილმის მიხედვით) და აკრავს თვალსაჩინო ადგილას – 4წთ * ფილმის ჩვენება ძალადობაზე – 4წთ * ვენის დიაგრამის შედგენა ბულინგისა და ძალადობის მსგავს-განმასხვავებელ ნიშნებზე – 7წთ * მინი-ლექცია ბავშვურ სიცელქეზე, მაგალითების მოყვანით. მოსწავლეები თვითონაც იხსენებენ რამდენიმე მაგალითს პირადი თუ თანატოლების საქციელიდან და, პერიოდულად, ვადარებთ ბულინგსა და ძალადობას. ვენის დიაგრამაზე ვამატებთ ერთ რგოლს ბავშვურ სიცელქეზე, რომელიც არ ეხება არც ძალადობას და არც ბულინგს და შიგნით ვწერთ დამახასიათებელ ნიშნებს, რითაც თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან – 10წთ <b>C ფაზა/ შეჯამება – 7წთ</b> * სიტუაციური ამოცანა ეძლევათ ტრიადში, რათა ამოიცნონ თითოეული და მიაკრან ვენის დიაგრამის იმ ნაწილს, რომელსაც ეკუთვნის. შემდეგ ვანალიზებთ, რამდენად სწორად შეასრულეს დავალება. ამით მასწავლებელი დაადგენს, რამდენად სწორად გაიგეს მოსწავლეებმა ეს სამი ცნება და მისი მახასიათებლები – 5წთ * საშინაო დავალება: გაიხსენონ, თუნდაც ერთი შემთხვევა, თუ შესწრებიან ან თვითონ ხომ არ ყოფილან ძალადობის ან ბულინგის მსხვერპლი – 2წთ (მომდევნო გაკვეთილებზე განვიხილავთ მათ მიერ მოძიებულ შემთხვევებს და ვიმუშავეთ პრევენციასა და გადაჭრის გზებზე).
მოსალოდნელი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები	მოსალოდნელია შუქის ჩაქრობა. ამ დროს, პროექტორის ნაცვლად, ლეპტოპით ვისარგებლებთ.
სასწავლო რესურსები	დაფა, ცარცი, მაგნიტური დაფა, ფლიფარტები, მარკერები, პროექტორი, ფერადი ქაღალდები, სკოტჩი. <a href="https://www.youtube.com/watch?v=cLxLD-vYdC4">https://www.youtube.com/watch?v=cLxLD-vYdC4</a> , <a href="https://www.youtube.com/watch?v=QdyCQnrMJk">https://www.youtube.com/watch?v=QdyCQnrMJk</a>
შეფასება და თვითშეფასება (შეფასების კრიტერიუმები, მეთოდები და საშუალებები)	განმავითარებელი – ნამახასიათებელი კომენტარები და უკუკავშირი აქტიურობაზე და ჩართულობაზე.

მოსწავლეთა შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	ძალიან კარგი	კარგი	საჭიროებს გაუმჯობესებას
აქტიურობა	ყოველთვის მონაწილეობს.	ხშირად მონაწილეობს.	იშვიათად ან საერთოდ არ მონაწილეობს.
გამართული და სწორი მეტყველება	მეტყველებს გამართულად, მარაგი მდიდარია.	მეტყველებს გამართულად, ლექსიკური მარაგი კარგია.	უჭირს გამართული მეტყველება, ლექსიკური მარაგი მწირია.
ანალიზის უნარი	ანალიზებს ნაწახს და გაგონილს, აფიქსირებს და არგუმენტებით ამყარებს საკუთარ აზრს.	ანალიზებს ნაწახს და გაგონილს, ხშირად აფიქსირებს საკუთარ აზრს, თუმცა უჭირს არგუმენტებით გამყარება.	უჭირს ანალიზი, საკუთარი აზრის დაფიქსირება, ვერ მოჰყავს არგუმენტები.
სხვის აზრის პატივისცემის დემონსტრირება	უსმენს სხვებს და საკუთარ აზრს გამოთქვამს მოსმენილზე დაყრდნობით. შეფასებისას კორექტულია და სხვის აზრის მიმართ პატივისცემას ამჟღავნებს.	უსმენს სხვებს და მოსმენილზე დაყრდნობით საკუთარ აზრს გამოთქვამს.	უჭირს სხვების მოსმენა, ხშირად არ აცლის აზრის დასრულებას.

სიტუაციური ამოცანები

**სიტუაცია 1.**  
ნინო კლასში ახალი გადმოსულია. მას მხედველობის პრობლემა აქვს (ელამია). კლასის გოგონათა ჯგუფმა პირველ დღეს კლასში ნინოს დასცინა და მასთან ახლოს არავინ დაჯდა. შემდეგ დღეებში, დერეფანსა და სკოლის ეზოშიც, იგივე გაიმეორეს. ტელეფონში ხშირად უგზავნიდნენ შეტყობინებებს „ბრუცინაო“.

**\* ჩამოთვლილთაგან რომელს მიეკუთვნება აღწერილი შემთხვევა:**

- ა) ძალადობა;
  - ბ) ბულინგი;
  - გ) ბავშვური სიცელქე.
- სიტუაციური ამოცანა მიაკარი მის კუთვნილ ადგილზე.

**სიტუაცია 2.**  
შესვენებაზე გიორგიმ მარის ხელი ჰკრა და კიბეზე დააგორა. არ მივიდა მასთან, არ წამოაყენა და ბოდიშიც არ მოუხადა, პირიქით, დასცინა: „რა საცოდავი ხარ!“. დერეფნის ბოლოში მოთამაშე პატარებს ნაუჯიკავა, გზიდან ჩამომეცალეთო, ყურებიც აუწია და „ურჩია“, ჭკვიანად იყავით და გზა დამითმეთ, როცა მოვდივარო.

**\* ჩამოთვლილთაგან რომელს მიეკუთვნება აღწერილი შემთხვევა:**

- ა) ძალადობა;
  - ბ) ბულინგი;
  - გ) ბავშვური სიცელქე.
- სიტუაციური ამოცანა მიაკარი მის კუთვნილ ადგილზე.

**სიტუაცია 3.**  
ეზოში თამაშის დროს, ბურთისკენ მიმავალმა დათომ ხელი ჰკრა თანაკლასელ დიტოს, რათა დაესწრო ბურთის ალბა. დიტო ნაიქცა და ატირდა. დათომ წამოაყენა და ბოდიშიც მოუხადა.

**\* ჩამოთვლილთაგან რომელს მიეკუთვნება აღწერილი შემთხვევა:**

- ა) ძალადობა;
  - ბ) ბულინგი;
  - გ) ბავშვური სიცელქე.
- სიტუაციური ამოცანა მიაკარი მის კუთვნილ ადგილზე.

სამოქალაქო გაკვეთილი

რეზიუმე

სამოქალაქო გაკვეთილის ტიპებიდან ერთ-ერთი ინოვაციური გაკვეთილია, რომელიც მოიცავს როგორც მეთოდურ, ისე შინაარსობრივ ინიციატივებსაც. ბუღინგისა და ძალადობის ცნებების გაცნობისა და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მეორე კლასში ჩავატარე ინოვაციური გაკვეთილი თემაზე: „ბუღინგი – ძალადობა თუ ბავშვური სიცვლეტი“.

გაკვეთილი გეგმის მიხედვით წარმართა. ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. გამოვიყენე ყველა აქტივობა, მათზე გამოყოფილი დროც ოპტიმალური აღმოჩნდა. გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, საკუთარი აზრის გამოთქმისა და დასაბუთების უნარების განვითარებას, მზაობის გაუმჯობესებას პრობლემასთან გამკლავების კუთხით. დამსწრე კოლეგები მიიღებენ ინოვაციური გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების გამოცდილებას.

გაკვეთილის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს მიღწეული შედეგი, რომელიც შეჯამების ფაზაში გამოყენებული სიტუაციური ამოცანების კეთების პროცესში გამოვლინდა. კერძოდ, გაკვეთილის მიზანი მიღწეულ იქნა: მოსწავლეებმა ამოცანები ბუღინგის, ძალადობის და ბავშვური სიცვლეტის ნიშნების მიხედვით დაახარისხეს. ძლიერი მხარე იყო, აგრეთვე, თვალსაჩინოების და აქტივობების მრავალფეროვნება. მოსწავლეთა ჩართულობა იყო მაღალი, აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა – ლოგიკური.

სუსტ მხარედ გამოვყოფი სიტუაციური ამოცანების სიმწირეს, რადგან დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ეს აქტივობა მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ და არ ეყოთ სავარჯიშოები, რასაც შემდგომისთვის გავითვალისწინებ.

გამოსვლითა

დისნეის „აზროვნების სამი სკამი“ გაკვეთილზე

საზოგადოებას ქმნიან განათლებული, მოაზროვნე, მოტივირებული, სიახლისადმი მზა პიროვნებები. სწორედ ამგვარი პიროვნებების ჩამოყალიბებას, განვითარებას და საზოგადოების ღირსეულ წევრებად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს მასწავლებელი. თითოეული გაკვეთილი წარმოადგენს აღნიშნული შედეგისათვის განკუთვნილ 45 წუთს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილსა და თითოეულ მოსწავლესზე მორგებულს, შესაბამისი აქტივობებით ჩართულს.

ერთ-ერთი მიმართულება, რომელზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება სასწავლო პროცესში, შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარებაა, გაკვეთილი კი ამ უნარის განვითარების ხელშეწყობის საშუალებად გვევლინება.

უპირიანი იქნება, თუ განვმარტავთ თავად „შემოქმედებითი აზროვნებას“ – რთული სააზროვნო უნარ-ჩვევა, რაიმეს ახალი გზით კეთება ან დანახვა. შემოქმედებითი აზროვნება ხასიათდება იდეების მრავალრიცხოვნობით, მრავალფეროვნებით (მოქნილობა, საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვა), მათი სიახლით (ორიგინალობით) და გარდაქმნის უნარით (ძველი იდეების საფუძველზე ახლის შექმნა).

შემოქმედებითი აზროვნების კვლევისას ითვალისწინებენ არა მხოლოდ აზროვნების პროცესს და პროდუქტს, არამედ თავად პიროვნებას, რადგან სწორედ ის ახორციელებს შემოქმედებით აქტს და ქმნის ახალს. ამგვარად, შემოქმედებითობა შემდეგნაირად განისაზღვრება: შემოქმედებითია აზროვნების ისეთი ფორმა, რომელიც მიმართულია ახლის ძიებისკენ, შექმნისკენ და ხორციელდება შინაგანი სტიმულაციის საფუძველზე.

შემოქმედებითი აზროვნებისას, ადამიანი აზროვნებას იწყებს ერთი კონკრეტული საკითხით, მაგრამ კვლევა-ძიების პროცესში განიცდის სხვადასხვა მიმართულებით, რის შედეგადაც წარმოიშობა მრავალფეროვანი, ფართო, საინტერესო არჩევანის საშუალება.

რაც შეეხება საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვას, მნიშვნელოვანია, შევადგინოთ სააზროვნო-საპრობლემო და ითვალისწინებდეს, თუ რა ფაზებს გადის მოსწავლეთა ცნობიერება შეცვლების პროცესში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინება ხელს შეუწყობს საინტერესო საგაკვეთილო პროცესის წარმართვას.

წარმოგდგენთ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის ერთ საინტერესო და შედეგზე ორიენტირებულ აქტივობას, სახელწოდებით „დისნეის აზროვნების სამი სკამი“. მეთოდის კონცეპტუალური აღწერა:

„აზროვნების სამი სკამი“ წარმოადგენს როლურ თამაშს, რომლის წარმართვა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. მეთოდს არ სჭირდება ინვენტარის მრავალფეროვნება, საკმარისია სამი სკამი, მეტი ეფექტისათვის შეგიძლია განსხვავებული აზროვნების ტიპის შესაბამისი, ე.წ. აზროვნების სკამები წარმოვადგინოთ.

თითოეულ როლს მისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს:

**მეოცნების სკამი:** მეოცნების სკამზე ვავითარებთ ჩვენს ფანტაზიას, ყველაფრის უფლება გვეძლევა, გარდა ერთისა – პრობლემაზე სერიოზული ფიქრის;

**რეალისტის სკამი:** ვფიქრობთ იდეების განხორციელებაზე, ვართ პრაგმატურები, შედეგზე ორიენტირებულები, ვირჩევთ მიზანმიმართულ გზას;

**კრიტიკოსის სკამი:** ყურადღებას ვამახვილებთ იდეის განხორციელებაზე, ვაფასებთ არჩეულ გზას – რამდენად არის ორიენტირებული პრობლემის გადაჭრაზე. კრიტიკოსი არ უნდა იყოს იდეისადმი ნეგატიურად განწყობილი. მან ამ იდეაში პრობლემები უნდა იპოვოს, მაგრამ იდეის არსის უნდა სჯეროდეს“.

გთავაზობთ მოცემული მეთოდის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილის პროექტს

Table with 2 columns: Project description and details. Rows include: პროექტის სახელწოდება (მულტიფილმი მოგ ზაურები), პროექტში მონაწილეები (ქართული სექტორის I კლასის მოსწავლეები), პრობლემის ანალიზი (მოსწავლეები, მულტიფილმის ყურებისას, ხშირად პასიური მყოფები...), პროექტის მიზანი (პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში პრობლემის შემოქმედებითად გადაწყვეტის უნარის განვითარებას...), პროექტის ამოცანები („ჯადოსნური ქუდი“, „პერსონაჟის ავტობიოგრაფია“...).

სტატიის ავტორს კოლეგებს შემთავაზებ რამდენიმე რჩევას:

- კლასში, ბუღინგისა და ძალადობის შემთხვევების განხილვისას მნიშვნელოვანია არა „ბრალდებითი“ პოზიციის დაცვა, არა იმის ძიება, ვინ არის დამნაშავე, არამედ იმის გარკვევა, რა როლი შეასრულა სიტუაციაში მონაწილე თითოეულმა ბავშვმა;
- გააგებინეთ მოსწავლეს, რომ არ მოითმენთ მის აგრესიულ ქცევას. დააწესეთ კონკრეტული შეზღუდვები, რომელსაც ბუღინგის განმეორების შემთხვევაში მიმართავთ;
- იყავით პოზიტიური ქცევის მაგალითი-მოდელი. ქცევის წესების შემუშავებისას, რამდენიმე მუხლი თქვენ შესახებაც ჩანერეთ;
- კლასში განიხილეთ ბუღინგისა და ძალადობის ყველა შემთხვევა; რთულ შემთხვევებში, მიმართეთ სპეციალისტ-ფსიქოლოგს.

დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ ბუღინგისა და ძალადობის შესახებ ინფორმირებულობა, შემთხვევების განხილვა და დროული პრევენცია დაწყებით კლასებშივე, მშობლისა და მასწავლებლის ერთობლივი, შეთანხმებული ქმედებები, ვფიქრობ, კარგ შედეგს გამოიღებს და ხელს შეუწყობს ტოლერანტული გარემოს შექმნას და ტოლერანტული კულტურის დამკვიდრებას.

ნათო კვარაცხელია

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ირვანის საჯარო სკოლის კონსულტანტი მასწავლებელი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ მონაწილე, დაწყებითი კლასების უფროსი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

- ლიდერობის აკადემია-2-ის მე-6 მოდული – თანასწორობის საკითხები;
- http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1891;
- https://www.youtube.com/watch?v=cLxLD-vYdC4;
- https://www.youtube.com/watch?v=QdyCQnrrMJK.

Table with 2 columns: მოსალოდნელი შედეგები and მიზნობრივი ჯგუფი. Rows include: მოსალოდნელი შედეგები (მოსწავლეებს განუვითარდებათ შემოქმედებითი აზროვნების უნარები...), მიზნობრივი ჯგუფი (ქართული სექტორის I კლასის მოსწავლეები; კლასის დამრიგებელი – ნათია ნადარეიშვილი; უცხო ენის მასწავლებელი – გვანცა ბერაძე), ამოცანების განსახორციელებლად საჭირო აქტივობები („ჯადოსნური ქუდი“, „ავტობიოგრაფია“, „გონებრივი იერიში“, „აზროვნების სამი სკამი“).

მეთოდის „აზროვნების სამი სკამი“ გამოყენება ნებისმიერი საგნის მასწავლებელს შეუძლია – წამოჭრას პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზების ძიებაში მოსწავლეები ჩართოს. როგორც მეთოდის აღწერიდან გამომდინარე, ის ავითარებს შემოქმედებითი აზროვნებისათვის საჭირო მნიშვნელოვან ასპექტებს. უპირველესად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლეებს აუხსნას მეთოდის მსვლელობა, არსი, შეუქმნას მათ შესაბამისი გარემო, განწყობა. გასათვალისწინებელია ჯგუფური მუშაობისათვის საჭირო უნარების ფლობა, მზაობა მოსწავლეებში, პრეზენტაციის უნარ-ჩვევებზე ყურადღების გამახვილება.

ნათია ნადარეიშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის ირვანის საჯარო სკოლის კონსულტანტი მასწავლებელი პროგრამით „ასწავლე საქართველოსთვის“

გამოყენებული ლიტერატურა:

- ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016.
- ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში. ავტორები: სოფიკო ლობჯანიძე, მაია ფირჩხაძე, ნინო ჭიპრიძე, რუსუდან თედორაძე, მაია ჯალაღავლი.
- როგორ განვითაროთ მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
- http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16862
- https://edu.aris.ge/news/SemoqmedebiTi-azrovnebis-mniSvneloba-da-misi-ganviTareba.html

გამოსილაკა

# თამაშის დრო გაკვეთილებზე

## 10 თამაში, რომელიც ყველა საბნის მასწავლებელს გამოადგება



ვის არ უყვარს თამაში გაკვეთილებზე? ჩვენ ბავშვობიდან მოვიდებით, გამოვლილი გვაქვს სკოლის პერიოდ და კარგად გვემახსოვრება, რომ თამაში, გაკვეთილების განმავლობაში, ყველაზე გამორჩეული, საყვარელი გასართობი იყო და მიუხედავად წინააღმდეგობისა, ყოველთვის ვცდილობდით, თანაკლასელებთან ერთად, მეტი დრო გამოგვეყო თამაშისთვის. ალბათ, სწორედ იმიტომ იყო და არის სპორტის გაკვეთილი ბევრი მოსწავლისთვის განსაკუთრებულად საინტერესო, რომ ამ დროს მათ საშუალება ეძლევათ, დახარჯონ ულევო ენერჯია, იყენებენ ფიზიკურად აქტიურებს და იხალისონ გაკვეთილის განმავლობაში.

მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია მათი ფიზიკური აქტივობებისადმი მიდრეკილება და მასწავლებლებს არ უნდა გვწყინდეს, რომ მათ ბებრდებთ ან უბრალოდ ილუბიან 45 წუთის განმავლობაში მერხთან ვდომით და მოსმენით. ისინი ხომ ბავშვები არიან და არა ზრდასრული სტუდენტები! იმიტომ მათი ასაკი, მოზღვავებული ენერჯია ისე უნდა გამოვიყენოთ ჩვენი გაკვეთილის სასარგებლოდ, რომ ორივე მხარე (მასწავლებელი-მოსწავლე) კმაყოფილი დარჩეს როგორც პროცესით, ისე მიღებული შედეგით.

პირადად მე მიმაჩნია, რომ 2-3-წუთიანი აქტივობა, რომელიც მოსწავლეების ფიზიკურ დატვირთვაზეა დამყარებული, ძალიან სასარგებლო და ეფექტურია, პირველ რიგში, „ენერჯაიზები“ – მოსწავლეების მოტივაციისა და ჩართულობისთვის. კარგი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკლასო ოთახში 20-25 განსხვავებული პიროვნება გვყავს, განსხვავებული ინტელექტით, შესაძლებლობებითა და ინტელექტით.

როგორც ვიცით, ჰ. გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის მიხედვით, რვა ერთმანეთისგან განსხვავებული ინტელექტის სახე და მისი შესაბამისი სწავლის სტილი არსებობს. ესენია: ლინგვისტური, მათემატიკურ-ლოგიკური, ვიზუალურ-სივრცითი, სხეულებრივ-კინესთეტიკური, მუსიკალური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური და ნატურალისტური. თითოეულ ადამიანს ზემოთ ჩამოთვლილი ინტელექტის რამდენიმე სახეობა აქვს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მასწავლებელი აცნობიერებდეს სხვადასხვა ადამიანის სხვადასხვა ხარისხით მიდრეკილებას სხვადასხვა ინტელექტისადმი, რომ მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების მრავალმხრივად გამოხატვის და განვითარების შესაძლებლობა მისცეს. ეს კი, დამეთანხმებით, საკმაოდ რთული და შრომატევადია. ჩემი მოსწავლეების მრავალმხრივი ინტელექტის გამოსავლენად და გამოსაყენებლად, ასევე მათი ინტერესის გაზრდის მიზნით და გაკვეთილის მიზნის მისაღწევად, თითქმის ყველა გაკვეთილზე თამაშებს ვიყენებ. წარმოგიდგინო რამდენიმე მათგანს, ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესოს. მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც უცხო ენის, ასევე სხვა საგნის გაკვეთილებზე.

საგანმანათლებლო თამაშების, პირობითად, სამ კატეგორიად დაყოფა შეიძლება, „გამახსურებლები“ (ენერჯაიზები), რომელიც გაკვეთილის დასაწყისის 5-6-წუთიანი აქტივობებია. მათი მიზანია მოსწავლეების მოტივირება, მათი ყურადღების მიმართვა გაკვეთილის თემისადმი და დაინტერესება. მეორე ტიპის თამაშების გამოყენება გაკვეთილის ძირითად ნაწილში შეიძლება და მათი მთავარი მიზანი შესწავლის ან ახლად ახსნილი მასალის გავარჯიშება, გამოყენება, განმტკიცებაა. რაც შეეხება „დახურვის“ აქტივობებს, ისინი ყველაზე ეფექტური გაკვეთილის ბოლო ნაწილშია და საშუალებას გვაძლევს მთელი გაკვეთილი თუ თემა შევჯავშოთ და პოზიტიურად დავასრულოთ. თუმცა, ეს დაყოფა პირობითია, რადგან ნებისმიერი ქვემოთ განხილული თამაში შეიძლება გაკვეთილის ნებისმიერ მონაკვეთს მოერგოს. მათი გამოყენება შეიძლება როგორც კონკრეტული მიზნის მისაღწევად, ასევე რაიმე რთული თემის ახსნის დროს ბავშვების შესასვენებლად, მათი ძალების აღსადგენად ან თუნდაც გაკვეთილის ბოლოს, როცა ზარამდე რამდენიმე წუთია დარჩენილი და ყველა დაგეგმილი აქტივობა უკვე დასრულებულია.

ამ სტატიაში გავცნობთ რამდენიმე თამაშს, რომელიც ყველა მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რადგან მათი გამოყენება ხელს უწყობს გაკვეთილის ეფექტურ დაწყებას, ხალისიან წარმართვას და ისეთ დასასრულს, როცა დარწმუნებული ხარ, რომ მოსწავლეები მოუთმენებელია ელანი მენს შემდეგ გაკვეთილს.

გაკვეთილის დასაწყისისთვის ერთ-ერთი თამაშია „რა დევს ჩანთაში“ ან „რა დევს ყუთში“. მოსწავლეები ორ ჯგუფად იყოფიან, თითო წევრი თითოეული ჯგუფიდან, მორიგე-

ობით, მიდის ყუთთან, იღებს ერთ ნივთს (მიგნით ჩახედვის გარეშე) და ასახელებს მას. უფროს კლასებში თითოეულ ნივთზე უნდა შექმნან რაიმე ისტორია და ისაუბრონ 20 წამის განმავლობაში, შემდეგ მეორე მოსწავლე იღებს ნივთს. მან წინა მოსაუბრის ისტორია უნდა განაგრძოს ისე, რომ 20 წამის განმავლობაში ისაუბროს თავის ნივთზე. რომელი ჯგუფიც უკეთეს ამბავს შექმნის, ის იქნება გამარჯვებული. უცხო ენის გაკვეთილზე ეს მეთოდი ხელს უწყობს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას და საუბრის გაუმჯობესებას, ასევე, შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარებას.

„კანფეტების ყუთი“ საუკეთესო გამხსნელი არდადეგების შემდეგ ან მასწავლებლის პირველი გაკვეთილისთვის კლასში, თუმცა მისი გამოყენება ნებისმიერ დროს შეიძლება. მოსწავლეები დგანან წრეზე ან სხედან მერხებზე. კანფეტებით სავსე თასიდან მასწავლებელი იღებს რამდენიმეს და გადასცემს გვერდით მყოფ მოსწავლეს. თითოეულმა უნდა აიღოს, სულ მცირე, 2 და, სურვილისამებრ, მეტი კანფეტი. ამის შემდეგ მასწავლებელი აძლევს დავალებას, ვის რამდენი კანფეტიც აქვს, იმ რაოდენობის წინადადებას გვეუბნება მის შესახებ (უცხო ენაზე), ან ზაფხულის არდადეგების შესახებ, ან ასახელებს იმ რაოდენობის მეფეს, დედაქალაქს, ბრძოლას და ა.შ.

„ბურთის გადაგდება“ ძალიან მარტივი და სახალისო აქტივობაა ჩვეულებრივი ბურთის გამოყენებით. ვასახელებთ დავალებას, მაგალითად, ჩამოთვალეთ სიტყვა „ლამაზის“ სინონიმები და ბურთს გადაუფადებთ ერთ-ერთ მოსწავლეს, ის ასახელებს და სწრაფად გადააწვდის მეორეს და ბურთი ასე მოივლის მთელ კლასს. ასევე, უცხო ენის გაკვეთილებისთვის ბურთზე შეიძლება ლექსიკური კატეგორიების მიწერა, რომელ კატეგორიასაც დაემთხვევა მარჯვენა ცერი, იმ კატეგორიიდან ასახელებს მოსწავლე ლექსიკურ ერთეულებს (მაგ: ცხოველები, ტრანსპორტის საშუალებები და ა.შ.).

„დამოფრული სიტყვა“ მარტივია, არ საჭიროებს წინასწარ მომზადებას, სიტყვას ვწერთ დაფაზე, ვაძლევთ მინიშნებას, ბავშვები ასახელებენ ასოებს და ცდილობენ, გამოიყვანონ დამოფრული სიტყვა ან წინადადება. ამ თამაშის გავრცობა შეიძლება – მცირე ჯგუფებში მივცეთ დავალებად, თვითონ შექმნან მსგავსი კროსვორდი ან „wordsearch“.

„ენის წვერზე“ – დაფაზე მომდმარი ბიჭის ან გოგოს ფოტოა (ანიმაციური), რომელსაც უჩანს ენის ნაწილი, სადაც წერია ფრაზა, დასასრული არ ჩანს. მოსწავლე ასახელებს გამოტოვებულ სიტყვას, იღებს „ენას“ და აჩვენებს კლასს (მაგალითად: გურამ დონანაშვილი არის ავტორი ნაწარმოებისა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“. არ ჩანს ავტორის სახელი და გვარი, მოსწავლემ უნდა დაასახელოს).



„ვინ ვარ მე?“ – შუბლზე დანებებული აქვთ რომელიმე გამოჩენილი ადამიანის სახელი (უცხო ენის გაკვეთილზე – ნებისმიერი არსებითი სახელი (რა ვარ მე?). მოსწავლეები დასვამენ შეკითხვას, რათა გამოიყვანონ ვინ არიან ისინი.

„ცხელი სკამი“ – მოსწავლეებს ვყოფთ ორ ჯგუფად, მცირერიცხოვან კლასებში ერთ ჯგუფად ვთამაშობთ. გუნდის ერთი წევრი ჯდება „ცხელ“ სკამზე, სახით კლასისკენ, მასწავლებელი წერს დაფაზე სიტყვას, წინადადებას, სახელს, თარიღს (კონკრეტული საგნიდან გამომდინარე). გუნდის წევრები აძლევენ მინიშნებებს და ესმარებთან გამოიციონ, რა წერია დაფაზე, მაგრამ არ აქვთ უფლება, დაასახელონ ან დახატონ ზუსად ის, რაც არის, წერია.

„დაფისკენ სირბილი!“ – ორ ჯგუფად დავყოფთ კლასს და დაფას. ვწერთ დავალებას (ზაფხულის არდადეგები – მოსწავლეები წერენ სიტყვებს უცხო ენაზე, რომელი გუნდიც ყველაზე მეტს დაწერს, ის არის გამარჯვებული. დაასახელებთ ზედსართავი სახელები, ვეროპის ქვეყნები და ა.შ.). მოსწავლეები რიგზე არიან დამსკრებივლები. თითოეული ჯგუფიდან თითო ბავშვი მირბის დაფასთან, წერს და უკან სირბილით ბრუნდება, ცარცს მომდევნო ბავშვს გადასცემს და ასე გრძელდება დროის ამოწურვამდე. გამარჯვებულია გუნდი, რომელიც ყველაზე მეტ სწორ პასუხს დაწერს.

„არეული წინადადებები“ – ნებისმიერი ტექსტი ნაწილებად დაეჭრათ და მოვათავსოთ სხვადასხვა ყუთში ან კონკრეტულ, მოსწავლეები მორიგეობით მიდიან დაფასთან და მოაქვთ წინადადებები, სანამ ტექსტს ლოგიკურად და აზრობრივად არ ააწყობენ. გუნდი, რომელიც პირველი ამთავრებს, გამარჯვებულია.

„მოიტანე პასუხი“ – ახალი გაკვეთილის ახსნამდე, ტექსტი-

დან ამოვწეროთ შეკითხვები, რომლებზე პასუხებიც ბავშვებმა უნდა მოიძიონ. მათ შეუძლიათ გამოიყენონ სახელმძღვანელო, ენციკლოპედია, დატოვონ კლასი და პასუხი სხვა კლასებში ეძებონ. მთავარია, რაც შეიძლება მეტი სწორი პასუხი მოაგროვონ.

„ყველაზე სწრაფი“ – სამი წუთის განმავლობაში მოსწავლეები, რაც შეიძლება სწრაფად, პასუხობენ წინასწარ მომზადებულ შეკითხვებს. პასუხის არცოდნის შემთხვევაში, ამბობს – „შემდეგი“ და გადადის მომდევნო კითხვაზე. ბოლოს გამოვლინდება მოსწავლე (მოსწავლეები), რომელსაც ყველაზე მეტი სწორი პასუხი ექნება. ამ თამაშის გავრცობა შეიძლება, როცა მოსწავლეს აქვს საშუალება, აირჩიოს კატეგორია, მაგ.: ბრძოლები, მეფეები, ცნობილი ქალები ისტორიიდან, გრამატიკა, ლიტერატურა და ა.შ.

„ვინ მივა ფინიშთან პირველი“ – ნებისმიერი საგნის მასწავლებელს შეუძლია ამ თამაშის მომზადება. ფორმატი დაყოფილია 30 ან 40 უჯრად, თითოეული უჯრა დანომრილია და მასში (ან შესაძლებელია ცალკე ფურცელზე) წერია შეკითხვა (როდის მოხდა დიდგორის ბრძოლა?), ზოგი უჯრა მოთამაშეს რამდენიმე სვლით წინ გადაადგილებს (მაგ: „გილოცავთ, გადაადგილდით 23-ზე“), ასევე არის უჯრები, რომლებიც უკან აბრუნებს (მაგ: „ო, არა, დაბრუნდი მე-3-ზე“). მოსწავლეები აგორებენ კამათებს, მის მიხედვით უჯრას გადაიტვლიან და შესაბამის ნომერზე პასუხობენ კითხვას. არასწორი პასუხის შემთხვევაში, უბრუნდებიან წინა პოზიციას.

სემესტრისა და თავის შემთავამებელ გაკვეთილად ხშირად ვიყენებ „რა? სად? როდის?“, რომელიც ჩვენი მოსწავლეებისთვის ყველაზე ცნობილი თამაშია, თუმცა, წინასწარ მომზადებული შეკითხვების კონვერტები, მელოდია და მათთვის კარგად ნაცნობი სპინერი (რომელიც ტრიალებს და ერთ-ერთ შეკითხვას არჩევს) ქმნის უფრო სასიამოვნო გარემოს საკლასო ოთახში, ზრდის მოსწავლეების მოტივაციასა და ჩართულობას. რადგან თამაში გუნდურია, ამიტომ ნაკლებად სტრესულია მოსწავლეებისთვის, მთელი კლასი ერთიანად იმერებს, იხსენებს და ზოგი მათგანი სწავლობს განვლილ მასალას.

გაკვეთილის ბოლო აქტივობად ძალიან ეფექტურია თამაში „კლასის დატოვება“. იმისთვის, რომ ადრე დატოვოთ კლასი, მოსწავლეებმა 3 შეკითხვას (შეგიძლიათ გაზარდოთ ან შეამციროთ კითხვების რაოდენობა) უნდა უპასუხოთ, რომელიც წინასწარ მომზადებულია და დევს მაგიდაზე. იმ შემთხვევაში, თუ სწორად უპასუხებს შეკითხვებს, მოსწავლეს შეუძლია კლასის დატოვება, თუ არა, ბრუნდება უკან და დგება რიგში ყველაზე ბოლოს. შეკითხვები შეიძლება განმეორდეს, რადგან კითხვა, რომელსაც ვერ გასცა პასუხი, უკან ბრუნდება მაგიდაზე. ამ გზით მათ შესაძლებლობა ეძლევათ, ისწავლონ და დაიმასოვრონ სწორი პასუხი დასმულ კითხვებზე. ეს ძალიან სასარგებლო მეთოდია გამეორებისთვის, ლექსიკური მასალისა და გრამატიკის გამოსაყენებლად. შესაძლებელია, მთელი გაკვეთილი დაუთმოთ ამ თამაშს, როცა სემესტრის ან წლის შეჯამებას აკეთებ, სტრესული გამოცდის მაგივრად, ბავშვებს შეგიძლიათ მსგავსი სახალისო თამაში შევთავაზოთ – თან გაერთობინ, თან ისწავლიან ან ნასწავლს გაიხსენებენ.

გარდა აქ ჩამოთვლილისა, სხვა მრავალი თამაშიც არსებობს, რომელიც ძალიან მარტივად შეიძლება მოერგოს ნებისმიერ საგანსა და გაკვეთილს. ბევრი მასწავლებელი თავს არიდებს მსგავს აქტივობებს, რადგან მიაჩნია, რომ კონკურენტული გარემო მავნებელია ბავშვებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ თამაშების ბოლოს ერთი გუნდი ან მოსწავლეა გამარჯვებული, მათი ადაპტირება შესაძლებელია ისე, რომ არ გამოვლინდეს ერთი კონკრეტული გამარჯვებული. გარდა ამისა, ზოგი მოსწავლე, პირიქით, უფრო მეტად იხსენებს და მოტივირებული ხდება კონკურენტულ გარემოში, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა იყოს ზომიერი, ცოტა-ცოტა ყველაფერი შეიძლება, თამაშიც, ხალისიც და შეჯობრიც.

თავისთავად ცხადია, ამ თამაშებს ყოველდღიურად ვერ გამოვიყენებთ, რადგან ყველა გაკვეთილი ვერ დაეთმობა თამაშს. მე პირადად, თამაშს ვიღობს სახით ვთავაზობ ხოლმე. მაგალითად, რაიმე რთული საკითხის წარმატებით შესრულების, შესწავლის შემდეგ, კვირის განმავლობაში სანიშნო ყოფაცქევის გამოვლენის შემთხვევაში და ა.შ. მსგავსი მეთოდის გამოყენების შემდეგ, მოსწავლეები დიდი იმედით და ერთუზიანებით ელოდებიან მომდევნო გაკვეთილს, რადგან არაფორმალური გარემო და ნახალისება ხელს უწყობს მათი უნარების მაქსიმალურ გამოვლენას. გარდა ამისა, გვეხმარება უფრო ახლოს გავიცნოთ და სხვა კუთხით დავიხილოთ ჩვენი მოსწავლეები, მათი ინდივიდუალური შესაძლებლობები; მაქსიმალურად ვეცადოთ, რომ, გაკვეთილის ჩატარებისას, მრავალმხრივი აქტივობები გამოვიყენოთ, თითოეული მოსწავლის ინტელექტის შესაბამისი, რაც საკუთარი თავის გამოვლენის საშუალებას მისცემთ.

### ძეითვან ემრაზვილი

წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარეთის საჯარო სკოლის ინგლისური ენის მეთადგოვი, პროგრამის „ასწავლე საქართველოსთვის“ კონსულტანტი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:  
 1. Lander E. (08.10.2013). 10 Best Games for ESL Teachers Abroad (20.04.2018) <https://www.gooverseas.com/blog/10-best-games-esl-teachers>  
 2. (20.04.2018) [https://busyteacher.org/teaching\\_ideas\\_and\\_techniques/warmers/](https://busyteacher.org/teaching_ideas_and_techniques/warmers/)  
 3. MsEnglishcomer (12.04.2015) warm up activities. (17.04.2018) <https://www.youtube.com/watch?v=UthVmm-ELsA>


# როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ანალიტიკური უნარის განვითარებაში

ანალიტიკური აზროვნების სწავლება უმნიშვნელოვანესია მოზარდებში აზროვნების ჩამოყალიბებისათვის. მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების განვითარებას ძალიან უწყობს ხელს სასწავლო პროცესში, სწავლების სტრატეგიად, კოგნიტიური (სააზროვნო) დიაგრამების გამოყენება.


განვიხილოთ რამდენიმე კოგნიტიური დიაგრამა, რომელთა გამოყენება საკმაოდ ეფექტურია სწავლების პროცესში, მსგავსებისა და განსხვავებების გამოვლენისთვის.

შედარებისა და დახასიათების დროს, ძირითადად, გამოიყენება „ვენის დიაგრამა“, „ასოციაციური რუკა“. შედარება საგნებსა და იდეებს შორის მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციის პროცესია. ამ გრაფიკული მათემატიკის სახელწოდება მომდინარეობს ჯონ ვენის – ინგლისელი ფილოსოფოსის სახელიდან, რომელმაც შექმნა და გამოიყენა მსგავსი დიაგრამა.

ვენის დიაგრამა



ასოციაციური რუკა



ვენის დიაგრამა ეხმარება მოსწავლეებს, ვიზუალურად აღიქვანონ ორ საგანს ან ორ მოვლენას შორის არსებული მსგავსება-განსხვავება. როგორც წესი, ორი წრის გადაკვეთაში მსგავსებათა ჩამონათვალია მოცემული, განსხვავებები კი წარმოდგენილია წრეების იმ ნაწილებზე, რომლებიც არ იკვეთება. ასეთ შემთხვევაში, ისინი კარგად დაინახავენ, თუ როგორ ჰგავს ან განსხვავდება ორი მოვლენა ან საგანი ამ კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით.

კოგნიტიური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეებს გაკვეთილზე მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება. მათ ეძლევათ ტექსტის, იდეის, საკითხის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის ცნებისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში დაეხმარება. კოგნიტიური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეთა აქტივობებისა და დამოუკიდებლობის ზრდის კარგი საშუალებაა.

პედაგოგმა მოსწავლეებს უნდა აუხსნას სააზროვნო სქემების მნიშვნელობა, ამასთანავე, მათი გამოყენებაც. შესაძლებელია, მასწავლებელმა, თავდაპირველად, კლასის წინაშე თავად შეავსოს რამდენიმე ნიმუში იმის საილუსტრაციოდ, როგორ გამოიყენონ დიაგრამები, შემდეგ კი დაავალოს ნებისმიერი საკითხისა თუ კონტექსტის მიმართ სააზროვნო სქემებით მუშაობა. დროთა განმავლობაში, მოსწავლეები ათვისებენ ამ ხერხის გამოყენების ტექნიკას, თავადაც შეარ-

ჩევენ ადეკვატურ სააზროვნო სქემას და მეტიც, სურვილიც კი გაუჩნდებათ თვითონ შექმნან სქემა, რომელიც დავალების ტიპს ყველაზე უკეთ მოერგება.

ლიტერატურის გაკვეთილებზე ხშირად გვინეებს ცნებების, პერსონაჟების, სხვადასხვა ლიტერატურული მოვლენისა თუ თეორიის შედარება. ვენის დიაგრამის გამოყენება საშუალებას გვაძლევს, განვაფიქროთ ტექსტის ანალიზის, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარი. მაგალითისთვის, მოვიყვანოთ შემდეგი საკითხები: ნოველა და მოთხრობა ან რომანი, რომლებიც იციან, ნაუკითხავთ ან შეუსწავლიათ. ამის შემდეგ, აუხსნათ ვენის დიაგრამის სპეციფიკა და დავინიშოთ შესაბამისი გრაფების შევსება. კითხვების მეშვეობით, მსჯელობა წარმართოთ ისე, რომ აშკარად გამოკვეთოს ნოველას და მოთხრობას (რომანს) შორის განსხვავებები და მსგავსებები.

თავდაპირველად, მასწავლებელი კიდევ ერთხელ განუმარტავს მოსწავლეებს ნოველისა და მოთხრობის არსს.

ნოველა ძალიან მოკლე ნაწარმოებია, სადაც გადმოცემულია ერთი მომენტი გმირის ცხოვრებიდან, ხოლო მოთხრობაში გაზრდილია არეალი. იგი ეპოსის ისეთი სახეა, რომელშიც ვრცლადაა მოთხრობილი ერთი ამბავი. იგი გავრცობილი ნოველაა. მასში აღებულია ერთი რომელიმე მოვლენა და ვრცლადაა მოთხრობილი ამ მოვლენის შესახებ.

ვენის დიაგრამის დახმარებით, თვალნათლივ გამოჩნდება მსგავსება-განსხვავება ნოველასა და მოთხრობას შორის.

**ნოველა**

1. ძალიან მოკლე ნაწარმოები.
2. პერსონაჟების სიმცირით გამოირჩევა.


**მოთხრობა**

1. შედარებით ვრცელი ნაწარმოები.
2. უფრო მეტი მოქმედი პირია.

**საერთო**

ორივე ეპოსის სახეა, მოთხრობილია ამბავი.

ეს მსგავსება-განსხვავებები მოსწავლეებს გადააქვთ ე.წ. „ვენის დიაგრამაში“.




ვენის დიაგრამის შევსების შემდეგ, მოსწავლეებს უკვე შეეძლებათ, თავად გამოიტანონ დასკვნა. მასალის განსამტკიცებლად, სასურველია, შეასრულონ წერიტი დავალება, სადაც მიღებულ ცნობებს განავრცობენ, მიმოიხილავენ მოცემულ საკითხებს, მოიყვანენ კონკრეტულ მაგალითებს.


კოგნიტიური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეთა აქტივობისა და დამოუკიდებლობის ზრდის კარგი საშუალებაა. მათი გამოყენებით, მოსწავლე ანაწევრებს მოცემულ ინფორმაციას, ორგანიზებას უკეთებს, შეიცნობს მთელისა და დეტალების ურთიერთმიმართებას, ეჩვენა კრიტიკულ აზროვნებას, სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას.

„კოგნიტიური დიაგრამები“ გამოიყენება როგორც ახალი მასალის გაცნობა-წარმოდგენისას, ასევე მასალის ათვისების შემდეგ, შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების დროს; როგორც ტექსტის კითხვისა და დამუშავებისას, ასევე წერილობითი სამუშაოს დანერგვის დროს; როგორც საშინაო დავალების, ასევე საკლასო სამუშაოს ჩატარების დროს; როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში მუშაობის დროს.


1) კოგნიტიური დიაგრამა: გადაჯაჭვული. გადაჯაჭვული განსხვავებები-მსგავსებები.



2) კოგნიტიური სქემა: მოვლენათა ჯაჭვი. მოსწავლეებმა უნდა შეავსონ ეს სქემა და დააფიქსირონ მოვლენების ან ფაქტების ურთიერთკავშირი.



3) სქემა გონებრივი იერიშისთვის – იდეა, თემები, ქვეთემები, დეტალები, მომიჯნავე საკითხები. მოსწავლეებმა სქემა უნდა შეავსონ და ზოგადად მოიაზრონ საკითხი.



ეფექტიანია აგრეთვე, შედარება-შეპირისპირების დროს, ე.წ. „T“ დიაგრამის გამოყენება, მაგალითად, ზმნისწინის ახსნის დროს მოსწავლეებს ვთხოვთ T დიაგრამის ერთ მხარეს დაწერილ ერთმარცვლიანი ფორმები და მეორე მხარეს – ორმარცვლიანი. აღნიშნული მეთოდი მათ გაუიოლებს საკითხის გაგებას. ასეთი ტიპის დავალებების ან მეთოდის გამოყენებით, მოსწავლეები ეჩვენებენ აზროვნებას, მეტ ინტერესს იჩენენ, მოტივაცია უმაღლდებათ, ჩართული არიან სასწავლო პროცესში და დასკვნებიც თავად გამოაქვთ. T დიაგრამის გამოყენებით, შედარება-შეპირისპირების გზით, უფრო სიღრმისეულად იგებენ საკითხს.

განხილული სტრატეგიებით, პედაგოგს შეუძლია სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი და შედეგიანი გახადოს. სწავლების მრავალგვარი სტრატეგიით დატვირთვა უზრუნველყოფს მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო პროცესს, ამასთან ამცირებს დისციპლინურ პრობლემებს, რადგან ზრდის სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხს და მოსწავლისგან მეტ აქტიურობას, ინიციატივასა და ქმედითობას მოითხოვს.

**ნინო ჯალალონი**

თბილისის კერძო სკოლა „ისის“ ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული პედაგოგი

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. სწავლება და შეფასება, თბ. 2008 წ;
2. ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი, ანალიტიკური ენა.

**ჯანსაღი ცხოვრების წესი**

## ექსკურსიები და ლაშქრობები ბრძელდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობით, საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და მათი მშობლებისთვის ექსკურსიები და ლაშქრობები გრძელდება. პროექტი ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებას და ჩართულ პირებს საშუალებას აძლევს, შეემცნებინონ ინფორმაცია მიიღონ ეკოლოგიის, ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ. ლაშქრობები სპორტული და გასართობი აქტივობებითაა დატვირთული.

პროექტის პირველ ეტაპზე, ლაშქრობაში, საპილოტე სკოლების 150-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. სამომავლოდ, თბილისის სკოლებთან ერთად, პროექტში რეგიონის სკოლებიც ჩაერთვებიან.

„მივესალმები განათლების სამინისტროს მიერ დაგეგმილ პროექტს, რომელიც მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას და პოპულარიზაციას ითვალისწინებს. აქტიურად ვართ ჩართული თბილისის სკოლებში, ახლაც ჩვენი სკოლა ლაშქრობაში მონაწილეობს. კარგია გარემოს შეცვლა, ბავშ-

ვები ერთმანეთს გაიცნობენ, ეს პროექტი ხომ კომუნიკაცია-საც გულისხმობს, მათ სრული წარმოდგენა ექნებათ, რა არის ლაშქრობა, რა აქტივობებს მოიცავს.“

სკოლაში პროექტის პრეზენტაცია ჩავატარეთ. ჯანსაღი ცხოვრების წესი საკმაოდ პოპულარული გახდა, მოსწავლეები სიხარულით და დიდი სტიმულით შეხვდნენ ამ სიახლეს.“ – ამბობს ნინო ელოშვილი, 175-ე საჯარო სკოლის პედაგოგი.

5 სკოლის მასშტაბით დაგეგმილი ლაშქრობის მარშრუტი ვაკის პარკიდან კუს ტბამდე იყო განსაზღვრული. ლიდერებმა მოსწავლეებს მარშრუტი გააცნეს და აუხსნეს, როგორ ემობრავათ, შეახსენეს, ასევე, წესები, რომელთა დაცვითაც ავიდნენ კუს ტბაზე. მნიშვნელოვანი იყო იმ აქტივობების გაცნობა, რომელიც ტყეში სწორად ორიენტირებაში დაეხმარათ. ამ უნარ-ჩვევებთან ერთად, ბავშვები მასაც სწავლობენ, თუ როგორ გაუფრთხილდნენ ბუნებას.

მოსწავლეები ხალისით ერთვებიან ახალ პროექტში, მათთვის ხომ ყოველი ლაშქრობა ერთგვარი თავგადასავალია და, რაც უფრო მეტი სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ და დიდია მარშრუტი, თავგადასავალიც უფრო მეტად საინტერესო ხდება.



გამოსვლითაა

# სასწავლო პროექტი – სასურველი შედეგი

სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიანად წარმართვა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი დანიშნულებაა და ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. ერთ-ერთი სასწავლო პროცესის სწორი დაგეგმვაა, რაშიც არა მარტო ეროვნული სასწავლო გეგმით მოცემული სტანდარტის, არამედ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებაც იგულისხმება. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი და მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული იყოს. ეს გაზრდის მათ მოტივაციას და სწავლა საინტერესო და ხალისიანი გახდება. სწორედ ამიტომ, ყველა პედაგოგი, მათ შორის მეც, სასწავლო გეგმის შედგენისას წინასწარ ვსაზღვრავთ, რა მეთოდები და აქტივობები გამოვიყენოთ, რათა მოსწავლეები აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში და სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

მრავალ სხვა მეთოდს შორის ერთ-ერთი, რომელსაც ხშირად ვიყენებ, მისი მაღალი შედეგიანობის გამო, სასწავლო პროექტია. სიტყვა პროექტი ლათინური სიტყვაა და განზრახვას, გეგმას ნიშნავს. პროექტი, როგორც მეთოდი, განათლების სფეროში მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა აქტუალური. პროექტით სწავლება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომლის დროსაც ვითარდება მოსწავლის სხვადასხვა უნარები, როგორცაა: კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო. წლის დასაწყისში სამოქმედო გეგმაში განვირეგელები მქონდა ერთი სასწავლო პროექტის განხორციელება, თუმცა მოსწავლეთა ინტერესის და ჩართულობის გამო ერთს მეორე მოჰყვა.

მინდა მოკლედ გესაუბროთ ამ ორი სასწავლო პროექტის შესახებ, რომელთაგან ერთი კვლევითია, ხოლო მეორე – საინფორმაციო.

ეს პროექტები განვახორციელებ მე-10 კლასში, სადაც არჩევით სავსეა ისწავლება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პრაქტიკულ-თეორიული კურსი.

მართალია, მოსწავლეებს წინა წლებში გარკვეული ცოდნა უკვე მიღებული აქვთ, მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმძღვანელოებში მოცემული ინფორმაცია ძალზე მწირია. ამას ემატება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე ცოდნის არამდგრადობა. ამიტომ გადავწყვიტე ისეთი მეთოდისთვის მიმეძებრა, რომელიც კეთებით სწავლებას ეფუძნება და ცოდნის მდგრადობას განაპირობებს. გავითვალისწინე მოსწავლეთა ინტერესები, შევარჩიე შესაბამისი მასალა და დავგეგმე ორი სასწავლო პროექტი:

1. „რატომ არიან შედეგები შედეგები?“
2. „ჩვენ და არქეოლოგია“.

ჩემი მიზანი პროექტთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, კონკრეტული იყო, თუმცა პროექტისთვის საერთო ამოცანად დავისახე მოსწავლეებში გამეფიქსირებინა სხვადასხვა უნარი: ინფორმაციის მოძიება, პრობლემის დასახვა და გადაჭრის გზების ძიება, გადამწყვეტილების მიღება, კვლევა, დოკუმენტირება, შემოქმედებითი მიდგომა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, შეფასება და ა.შ.

პირველი პროექტის დაგეგმვისას მინდოდა, რომ მოსწავლეებს თავად მოეძიებინათ სახვითი ხელოვნების ცნობილი ნიმუშები და მათი შექმნის ისტორია განეხილათ ისტორიულ, რელიგიურ და სოციალურ კონტექსტში. გარდა იმისა, რომ პრეზენტაციების მეშვეობით უნდა აღწერათ შექმნილი ნახატი და დაესაბუთებინათ, თუ რატომაა ეს ნამუშევარი შედეგრი, მნიშვნელოვანი იყო, ემსჯელათ, თუ როგორ აისახება სოციალური, ისტორიული და რელიგიური კონტექსტი ხელოვნების ნიმუშის ვიზუალურ მხარეზე და გამოეტანათ სათანადო დასკვნები.

მოსწავლეებმა იმუშავეს სხვადასხვა მიმართულებით. თითოეულმა ჯგუფმა შეარჩია მისთვის სასურველი ნახატი, მოიძიეს სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნებათმცოდნეებისა და კომპეტენტური ადამიანების თვალსაზრისები, იმსჯელეს, რომელ პარადიგმას მიეკუთვნებოდა ესა თუ ის ნამუშევარი, გააკეთეს შესაბამისი დასკვნები, თუ რამდენად იყო ეს ნახატი შედეგრი და ბოლოს წარმოადგინეს პრეზენტაციები.

ბავშვებმა დაასკვნეს, რომ არა მარტო ცხოვრება ახდენს გავლენას ხელოვნებაზე, არამედ ხშირად ხელოვნება ცვლის რეალობას.

მეორე პროექტი, რომლის თემაც, როგორც აღვნიშნე, არქეოლოგიაა, უკვე მესამედ განვახორციელებ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან. ის ჯერ არ დასრულებულა. პროექტის პირველ ნაწილში მოსწავლეები გაეცნენ ცნობილ არქეოლოგებსა და მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენებს. იმსჯელეს, რა სარგებელი მოუტანა კაცობრიობას ამ არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა. პროექტი უფრო სახალისო რომ გამხდარიყო, ერთი აქტივობა მოვაქციე ჟურნალისტიკის ფორმატში. მასალა დაიყო ნაწილებად და „მოსწავლე-ჟურნალისტებმა“ დასვეს ის კითხვები, რასაც დაუსვამდნენ ცნობილ არქეოლოგებს ამა თუ იმ აღმოჩენის გარშემო.

პროექტის დასრულებამდე ბოლო ორი ფაზა დარჩა: დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ ცვლის ყოველი ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა უკვე დაწერილ ისტორიას და მონაწილეობა იმიტირებულ არქეოლოგიურ გათხრებში, რომელიც მდებარეობს მცხეთაში, სამთავროს ველზე.

დასკვნით აქტივობაში მოსწავლეები გაცნობიან სამთავროს ველზე არსებულ უძველეს ნასახლარებსა და სამაროვნებს. ასევე, მონაწილეობას მიიღებენ სპეციალურად შექმნილ სხვადასხვა ტიპის იმიტირებულ სამარხების გათხრებში და აღმოაჩენენ არტეფაქტებსა და ბიოფაქტებს. შეეცდებიან „მეცნიერული კვლევა“ ჩაატარონ მათზე და თვითონაც შექმნან აღმოჩენილი სამკაულების ასლები.

პროექტის დასასრულს მოსწავლეებს გადაეცემათ „ნორჩი არქეოლოგის“ სერტიფიკატები, რაც მათთვის ერთგვარი მოტივაცია და პროექტის შედეგიანი ფინალი იქნება.

ამ მეთოდით მუშაობამ დამანახა, რომ მოსწავლეთა გააქტიურება და სასწავლო პროცესში მათი ინტერესების გათვალისწინება საინტერესოს ხდის გაკვეთილს, ხოლო მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭება, რაც გამოიხატება სასწავლო პროექტების დაგეგმვისას მათ თანაბარფუნქციონირებაში ჩართულობაში, ზრდის პასუხისმგებლობას და შედეგიანობას. ისინი სწავლობენ პრობლემის იდენტიფიცირებას, მათი გადაჭრის გზების ძიებას, არჩევანის გაკეთებას, გადამწყვეტილების მიღებას და ივითარებენ სოციალურ უნარებს.

ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება სკოლაში სწავლასწავლების ხარისხის ამაღლებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. როგორც აღვნიშნე, პროექტებით სწავლებას ჩემს პრაქტიკაში რამდენიმე წელია ვიყენებ და სასურველ შედეგებსაც ვაღწევ, თუმცა ლადო აფხაზავას (მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი) ჩვენს სკოლაში სტუმრობამ და მის მიერ პედაგოგიური გამოცდილების გაზიარებამ დამარწმუნა, რომ ეს მეთოდი უფრო ხშირად და ეფექტიანად უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა. როგორც აღვნიშნე, იგი სწავლების პროცესში დიდ უპირატესობას ანიჭებს პროექტებს, რაც სათანადოდ აისახება მოსწავლეთა ჩართულობაზე და მათ შედეგებზე.

ჩემ მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტების შედეგებზეც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ამგვარი სწავლების შედეგად მოსწავლეს მრავალმხრივი უნარები უფრო ადვილად შეუძლია ცხოვრებაშიც გამოიყენოს.

**ქეთევან პარუნაშვილი**  
სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურის საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი

**გამოყენებული ლიტერატურა:**  
მანანა ბოჭორიშვილი – გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, „როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი“

## კონფერენსია

# მდგრადი განვითარების მიზნები ჩემს პრაქტიკაში

ეკა წულუკიძის გზა მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2017 წლის ფინალისტობამდე მრავალფეროვანი აქტივობებით და ინოვაციებით იყო აღსავსე. ეკა წინსვლისკენ დღესაც გრძელდება და მომავალშიც გაგრძელდება. ამის დასტური იყო სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში გამართული პედაგოგთა რაიონული კონფერენცია თემაზე – „მდგრადი განვითარების 2030-ის მიზნები ჩემს პრაქტიკაში“.

ლონისძიების ფინანსური მხარდაჭერი იყო მესტიის მუნიციპალიტეტის მერია, მესტიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორი ნინო წერეთელი და დაბა მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი დარეჯან ნიგურაიანი.

კონფერენციას წინ უძღოდა პროექტი „თანამშრომლობა განვითარებისთვის“, რომელიც განხორციელდა ფარის საჯარო სკოლის მასწავლებლის, ეკა წულუკიძის, უშუალო ხელმძღვანელობით. შეგახსენებთ, რომ ეკა, ამავდროულად, სოციალური საწარმოს ქალებისთვის „მზეკო“ და ახალგაზრდული ორგანიზაციის „გაგაძლიეროთ სოფლად ახალგაზრდები“ დამფუძნებელიცაა.

პროექტის მიზანი მესტიის მუნიციპალიტეტის პედაგოგებს შორის მდგრადი განვითარების მიზნების გაცნობა და საკუთარ პრაქტიკაში დანერგვა, აქტიური თანამშრომლობა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება იყო.

სვანეთის პედაგოგებმა, პროექტის ფარგლებში ჩატარებული ორი სამუშაო შეხვედრის შემდგომ მიღებული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენეს და აქტიურად დანერგეს სასწავლო პროცესში. კონფერენციაზეც კოლეგებს სწორედ განხორციელებული პროექტები გაუზიარეს.

კონფერენცია მისასალმებელი სიტყვით გახსნეს: დაბა მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, დარეჯან ნიგურაიანმა, პროექტის ავტორმა და ორგანიზატორ-

მა, ეკა წულუკიძემ და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, ელენე განაიამ. მოწვეული იყვნენ და საინტერესო მოხსენებებით წარდგინეს კოალიცია „განათლება ყველასათვის საქართველოს“ წარმომადგენლები: რევაზ აფხაზავა თემით – „განათლების თანამედროვე გამოწვევები და პოლიტიკა“, გიორგი ჭანტურია – „ინიშონის დეკლარაცია და განათლების მთავარი გამოწვევები“, დეა სხირტლაძე, გელა ლომიაშვილი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2017 წლის გამარჯვებული ლადო აფხაზავა – „არაფორმალური განათლება სკოლაში და სათემო პროექტები“, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტი, თბილისის კერძო სკოლის „ქორალი“ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ახალგაზრდა მეცნიერი ნათია ფურცელაძე – „ლიტერატურული კლუბი წიგნიერების განვითარებისთვის“, ნ.მ. ალ. შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია STEM-ის პედაგოგი ტოლია (უტა) კილასონია – „STEM საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წარმატებული სწავლებისათვის“, დაბა ჯვარის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორ-მასწავლებელი ნინო გაბულდანი – „ძალადობა, როგორც განვითარების შემაფერებელი ერთ-ერთი ფაქტორი“ და თქვენი მონა-მორჩილი, თემით – „ნაბიჯ-ნაბიჯ, ანუ როგორ გარდავექმნათ სამყარო“. დამსწრე საზოგადოებამ კოლეგების საუკეთესო პრაქტიკა, პედაგოგიური მიღწევები და ინოვაციური სწავლების მეთოდები მოისმინა.

კონფერენციაზე მოხსენებები გააკეთეს ადგილობრივმა და მოწვეულმა კონსულტანტმა მასწავლებლებმა: მესტიის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, სვეტლანა მჭედლიანმა, იფარის საჯარო სკოლის მათემატიკის კონსულტანტმა მასწავლებელმა, ანა აბესაძემ თემით – „სას-



წავლო პროექტი „ჩვენი საგანძური“; უშგულის საჯარო სკოლის კონსულტანტმა მასწავლებელმა, ლიანა სამინაშვილმა, ეკა წულუკიძემ – „სასწავლო პროექტი „მინის ჭერი“; ლახამულის საჯარო სკოლის მათემატიკის კონსულტანტმა პედაგოგმა, იაკობ შონიამ – „სასწავლო რესურსების (ხანის აკადემია, Desmos.com) გამოყენება მათემატიკის სწავლების პროცესში“; იელიის საჯარო სკოლის კონსულტანტმა მასწავლებელმა, ნინო ჭიჭინაძემ – „სასწავლო პროექტი „ჯვანსალი კვება“; ფარის საჯარო სკოლის მათემატიკის კონსულტანტმა პედაგოგმა გულა მემულიანამ – „სივრცული ფიგურების სწავლებისათვის“; მულახის საჯარო სკოლის კონსულტანტმა პედაგოგმა, მანანა მიქვაბემ – „წიგნიერება მდგრადი განვითარების მიზნებისათვის“; მულახის საჯარო სკოლის დანყებთი კლასის პედაგოგმა, სალომე ფურცხვანიძემ – „ეკოცნობიერების ხელშეწყობა დაწყებით კლასებში“ – პროექტი „ჯუნიორ ეკოლოჯისტი“.

დასასრულ, პედაგოგები სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ. კონფერენციის კულმინაცია იყო ანსამბლ „რიპოს“ გამოსვლა, **გახტანგ ფილფანის** ხელმძღვანელობით.

კონფერენციას მუნიციპალიტეტის 152 პედაგოგი ესწრებოდა. მათი სახელით, მინდა მადლობა გადავუხადო, უპირველესად, ეკა წულუკიძეს და ფარის სკოლის დირექტორს, გულა ვიბლიანს, რომელიც ყოველთვის მხარში უდგას საკუთარი სკოლის პედაგოგების ინიციატივებს. მადლობა ყველა მხარდაჭერს. ასეთი შეხვედრები, გარდა იმისა, რომ პედაგოგები ერთმანეთს გამოცდილებებს უზიარებენ, იმედსაც უსახავენ, რომ მათ გვერდში ყოველთვის იქნებიან როგორც სკოლების და საგანმანათლებლო რესურსცენტრის, ასევე რაიონის ხელმძღვანელებიც, დედაქალაქის თუ რეგიონების წარმატებული პედაგოგები.

**ლალი მარბიანი**  
სსიპ ხოჯორის საჯარო სკოლის კონსულტანტ მასწავლებელი



სასკოლო აქტივობა

# გმირო, გაგულის გალიდნო

ბესიკ ხულორდავას სახელობის მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ საღინოს საჯარო სკოლა (დირექტორი – ნუნუ სილაგავა) არაერთი კეთილი საქმისა და აქტივობის ინიციატორია. მრავალთა შორის გამოიყოფა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ერთ-ერთი მიმართულება – მოსწავლეთა ეროვნულ პატრიოტული აღზრდა, რომელიც მრავალფეროვან საქმიანობას მოიცავს.

საქმე ეხება სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირული ვაჟკაცების – საღინოელი ბესიკ ხულორდავას, გაჭედის სკოლის კურსდამთავრებული გიზო წულაიას, სერგიეული პაატა კოპალიანის, ლეციცხვიის მკვიდრი გელა ჭედისა გმირობის ამბავს – მათ სამშობლოს დაცვას შესწირეს სიცოცხლე – ყველაზე ღამაში და ღირსეული, რაც ღმერთს ადამიანისთვის მოუცია.

ავისტოს მოვლენებმა მთელ საქართველოს უდიდესი ტკივილი და მწუხარება დაუტოვა. მარტვილელი ოთხი სასიქადულო ვაჟკაცი სიცოცხლე შეინარა ოკუპანტთა აგრესიამ. მათი უკვდავი სახელი მარად დარჩება მშობლიური რაიონის სახელოვან ისტორიას. ისინი ფიზიკურად მოკლეს, მაგრამ ჩვენი გულებიდან მათ სახელს ვერ ამოშლიან. სიკვდილი ხომ სიცოცხლის ერთგვარი გაგრძელებაა.

ბესიკ ხულორდავას დედა მთვარისა ქვარცხავა ივონებს: „ჩემი შვილი სანიმუშო ყოფილიყვის მოსწავლე იყო. დაწყებითი კლასის რეგულარულ ინსაზვდა, შვილებისთვის რომ ერეგებინა. 16 სექტემბერს ქორნილი უნდა ჰქონოდა, 13 სექტემბერს სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა...“

ბესიკ ხულორდავამ 2001 წელს დაამთავრა ქუთაისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, შემდეგ – საპატრულო პოლიციის სასწავლო კურსი. 2005 წელს, პოლიციის ლეიტენანტი დიდი ჭყონის ქვეყანოფილების ინსპექტორ-გამომძიებლად დაინიშნა. იყო სათნო, გულისხმიერი, მოკრძალებული, ნიჭიერი და გონიერი ჭაბუკი ყველგან სიყვარულს იმსახურებდა. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდა გმირულად დაიღუპა.

საქართველომ დააფასა გმირის თავგანწირვა, მის ჯილდოებს, სიკვდილის შემდეგ, კიდევ ერთი დამატება – ვახტანგ გორგასლის ორდენი. საღინოელებმაც სათანადო პატივი მიაგეს სოფლის სასახელო შვილის სსოვნას – მისი სახელი ეწოდა ქუჩას, სადაც ცხოვრობდა; დაღუპვიდან 5 წლის შემდეგ კი, ბესიკ ხულორდავას მშობლიური სკოლაც მისი სახელობისაა. ჩვენი სკოლის თხოვნით, გმირის დედის თანადგომით, მარტვილის



მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის ფინანსური მხარდაჭერით, სკოლის ეზოში გმირის ბიუსტი დაიდგა.

უკვე ათი წელია, სასწავლო წლის დასაწყისში, უჩვეულო პირველი გაკვეთილი ტარდება გმირის მშობლიურ სკოლაში – სიმამაცის გაკვეთილი, რომელიც ბესიკის გმირობას ეძღვნება და რომელსაც გმირის დედა, ოჯახის წევრები, თანამებრძოლები, რაიონის საზოგადოებრიობა ესწრება. გაკვეთილი მთავრდება დაპირებით: „ჩვენ შენ მოგბაძავთ ბრძოლის დიდ გზაზე, ჩვენც ჩვენი ქვეყნის მშვიდობა გვინდა...“

სკოლას ორი ტრადიცია აქვს: გმირის დაბადების და სსოვნის დღის აღნიშვნა. დაბადების დღე სკოლაში, ბიუსტთან აღნიშვნა, სსოვნის დღე – გმირის სახელობის პარკში. მარტვილელი გმირების უკვდავსაყოფად, ჩვენი სკოლაში დაიბადა იდეა: მოგვეწყოს მათი გმირობის ამსახველი მემორიალური კუთხე.

იმ დღეს ხალხმრავლობა იყო საღინოს საჯარო სკოლაში, მაგრამ ზემის ელფერი მაინც არ დაჰკარავდა, უფრო სიამაყის გრძნობით იყვნენ განმსჭვალული სტუმრებიც და მასპინძლებიც. სასიქადულო გმირების მემორიალურ კუთხეს თეთრი საბურველი ბესიკის ძმისშვილმა – სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა პაატამ კესო ხულორდავამ და გმირის – გიზო წულაიას დედამ მარინე წულაიამ ჩამოხსნეს. შემზარავი იყო მ ავისტოს ეპიზოდების ამსახველი ფოტოსურათები, ასევე, 9 აპრილს დაღუპული მარტვილელი აზა ადამიას და ოკუპაციის მსხვერპლი არჩილ ტატუნაშვილის ფოტოები.

მემორიალური კუთხის გახსნის შემდეგ, სტუმრებმა ეზოში, ბიუსტთან გადაიანაცვლეს და, საპატიო ყარაულში მდგომ ბავშვებთან ერთად, ყვავილებით შეამკეს გმირის ბიუსტი. გმირებისადმი მიძღვნილი ლექსი ნაიკითხეს მეურთმეტეკლასელებმა – ენვერ ბასილაიამ და თორნიკე სიგუამ.

ლონისძიებმა სკოლის დარბაზში გაგრძელდა, რომლის კედლებსაც გმირთა სადიდებელი წარწერები ამკობდა: „გმირო,

მამულის მადიდნო!“, „გმირების არდავინყება“, „...გმირებად იბადებიან!“. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია – „ჩვენ 30 წელიწადი ვიკმარეთ ჩვენთვის, დანარჩენი კი სამშობლოსათვის შეგვინარია!“ და სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა პაატამ „ჯარისკაცებმა“ გმირთა სსოვნის წინაშე დადეს ფიცი: „დაღუპული გმირების სახელით, ცოცხლების ძალისხმევით, გადავარჩინოთ საქართველო!“

ბესიკის 29-წლიანი ცხოვრების გზა სტუმრებს მეცხრეკლასელმა ბექა ფულარიამ გააცნო, ლექსები უძღვნეს – ანანო ცაავამ, ხატია ნანავამ, ლიკა ლაშვიამ; ჩანახატი „ქეთინებს ტირიფი“ მეთექვლასელმა ნანა კობერიძემ წარმოადგინა.

გიზო წულაიას გმირობაზე გაჭედის საჯარო სკოლის მოსწავლემ ომარ წულაიამ ისაუბრა. შვილზე მოგონებებით გამოვიდა გიზოს დედა მარინე წულაია. ლონისძიებას ესწრებოდა გმირის ძმა, გელა და რაძლი – ნინო წულაია, მშობლიური სკოლის დირექტორი მანანა ლაშვია.

გელა ჭედისა სამაგალითო გმირობაზე ისაუბრა ლეციცხვიის საჯარო სკოლის მოსწავლემ, ალექსანდრე ბენიძემ. სსოვნის დღეს ესწრებოდა გმირის ძმა – ხვიჩა ჭედია, ბიძაშვილი – ბადრი ჭედია, მასწავლებელი – ბაჩუკი სურმაგა. პედაგოგმა, მინდია თოფურიამ, მადლობა გადაუხადა სკოლას გმირების უკვდავსაყოფად განუეული შრომისათვის.

სერგიეული პაატა კოპალიანის შესახებ მეთექვლასელმა – ნინო ბერიშვილმა და სოფიკო სხულუნიამ ისაუბრეს.

მოსწავლეების მიერ შესრულებულმა სამხედრო ცეკვამ სტუმრების მოწონება დაიმსახურა.

საინტერესო, შინაარსიანი და მეტად საჭირო ლონისძიების მომზადებისა და ჩატარებისათვის, სკოლას მადლობა გადაუხადა ლეციცხვიის საჯარო სკოლის დირექტორმა, გულნაზ ცაავამ.

ლონისძიების დასასრულს, სკოლის დირექტორმა, ნუნუ სილაგავამ დარბაზს ნორჩი სპორტსმენები წარუდგინა, რომლებმაც წარმატებები მოიპოვეს აღმოსავლური თამაშის – უშუს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში – საღინოს საჯარო სკოლის მოსწავლეები: ოთიკო კეკუტია, პაატა ფუტყარია, ნოდარ ცაავა, ტალერის საჯარო სკოლის მოსწავლეები: თენგიზ ბერიშვილი, ზურა კუჭავა, ნიკოლოზ წულაია და დიდი ჭყონის საჯარო სკოლის მოსწავლე ალექსი კვაშილაგა. ამ წარმატებისთვის თავდაუზოგავად იბრძვის მასწავლებელი დათა წულაია. სიგელებით, დიპლომებით, მედლებით მკერდდამშვენებული მოსწავლეები სიხარულს ვერ მალავდნენ.

ქალბატონმა ნუნუმ მადლობა გადაუხადა სკოლის მოსწავლეებს, მშობლებს, პედაგოგებს და სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ მუშაკებს კარგად ჩატარებული სამუშაოსთვის.

სულიკო ბასილაია  
საღინოს საჯარო სკოლის პედაგოგი



სპორტი

# გამარჯვებული კენალტების სერიაში გამოავლინა

ირაკლი თაყაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ტრადიციად იქცა ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, სპორტსმენების, მწვრთნელების, მსაჯუბის ღვანლის დაფასება და შესენება მომავალი თაობებისთვის. მინი-ფეხბურთში გამართული ტურნირი, რომელიც სამი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა უცხოენოვანი ფაკულტეტის სტუდენტებს შორის (სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – ალი აჰმედ ჰუსეინი), საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ფეხბურთში – გოგი მამალაძის, ვლადიმერ (გოგა) ელოშვილის და ჯუმბერ თანანაშვილის სსოვნას მიეძღვნა.

ტურნირში, რომელიც უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის (დირექტორი – ზაურ ფხალაძე, ცენტრის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი – საქართველო სპორტის დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ ბაქანიძე) მხარდაჭერით გაიმართა, მონაწილეობდნენ თსუ უნივერსიტეტის სტუდენტები თურქეთიდან, ნიგერიიდან, სირიიდან, ეგვიპტეიდან, ინდოეთიდან, შრი-ლანკიდან, სულ 20 გუნდი, რომელიც 4 ქვეჯგუფად დაიყო, თითოეულ ჯგუფში – 5-5 გუნდი. ჯგუფებიდან I-II ადგილზე გასულმა გუნდებმა ჯერ მეოთხედენალი, შემდეგ კი ნახევარფინალი ითამაშეს. III ადგილი ნიგერიის გუნდმა დაიკავა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ერაყის გუნდები – „სალაჰალდინი“ და „რაფიდე-

ნი“. მატჩი საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ძირითადი და დამატებითი დრო უშედეგოდ, 0:0 დამთავრდა და დაინიშნა პენალტების სერია – 5-5 დარტყმა. 3:1 გაიმარჯვა „რაფიდენმა“.

დასახელდნენ საუკეთესო ფეხბურთელები: საუკეთესო მეკარე – ომარ ტარეკი (ერაყი, „რაფიდენი“); საუკეთესო ფეხბურთელი – მონთაზარი (ერაყი, „სალაჰალდინი“); ბომბარდირი – 14 გატანილი ბურთი – სალამო ემარტი (ნიგერია).

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები და საუკეთესო ფეხბურთელები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით და სიგელებით. შეიჩვენ გამორჩეულად ნიჭიერი ფეხბურთელები თსუ ფეხბურთელთა ნაკრების შესავსებად.



# ევროპის კვირეული საინტერესო აქტივობებით

საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სავალ გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლე ახალგაზრდობის არაფორმალურ განათლებას, ბუნებრივია, ფორმალურთან ერთად. ამ კუთხით, მრავალი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს და ამ მრავალთა შორისაა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეები და სახლები.

საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობასთან. ჩვენთან არსებულ „ლიდერთა კლუბთან“ ერთად, ძალიან ბევრი წარმატებული შიდა პროექტი განვახორციელეთ: „მე-ლიდერი“, „მოხალისეობა“, საშობაო და საზაფხულო დღის ბანაკები... დიახ, ჩვენს წარმატებად მიგვაჩნია ის ტრენინგ-კურსები, რასაც ვწარგავთ და, ჩვენი მოხალისეებისა და „ლიდერთა კლუბის“ წარმომადგენლებთან ერთად, მიგვაქვს სხვა თინეიჯერებამდე, ვცდილობთ ჩვენი საქმის პოპულარიზაციას სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლაში. გვიყვარს სიახლეებთან შეჭიდება და შემდეგ ტრადიციად დამკვიდრდება. უკვე წლებია, ჩვენი ინიციატივით, ყოველწლიურად, ხორციელდება ევროპის კვირეული. წლებიდან ჩვენი კვირეულის პროგრამა ასეთი იყო: 3 მაისი – თემატური გამოფენა „მოგზაურობა ევროპაში“; 4-5 მაისი – ევროპარლამენტის მოდელირება; 7 მაისი – ლიტერატურული კონკურსი შემოქმედი მოსწავლეებისათვის „გზა ევროპისკენ“; 9 მაისი – კვირეულის დახურვა, დაჯილდოება.

წლებიდან ჩვენი კვირეულის სიახლეა „ევროპარლამენტის მოდელირება“, რომელიც ტრადიციად იქცევა. ჩვენი „ლიდერთა კლუბის“ ბევრი მოსწავლე ნამყოფი სხვადასხვა სახის მოდელირებებზე. სწორედ ამან განაპირობა საორგანიზაციო კომიტეტის შექმნა და მუშაობის დაწყება. წინაპირობა იყო ძალიან რთული – ძიების, შეთანხმებების, დელეგატების შერჩევა აპლიკაციის საფუძველზე მოხდა. შეირჩა 24 დელეგატი, შეიქმნა 3 მიმართულების კომიტეტი: 1. განათლების – ეთო ცხვარიაშვილი და ნიკოლოზ გვარამიაშვილი; 2. ბავშვთა უფლებების – მარიამ და ნუცა გაგნიაშვილები; 3. ევროინტეგრაციის/საიმერაციო – გიორგი ესაიაშვილი და გვანცა მალაქიძე.

3 მაისს კვირეული მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენით გაიხსნა – „მოგზაურობა ევროპაში“, რომელშიც მონაწილეობდნენ პატარძელის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები: ქეთევან ცხვარიაშვილი და ნათელა გიუნაშვილი, ასევე, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეები, პედაგოგი – ნინო ჯანგულაშვილი.

4-5 მაისს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, ევროპარლამენტის მოდელირების ოფიციალურ გახსნას ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სამსახურის წარმომადგენლები: ირმა მინესაშვილი, ნინო მეზერიშვილი და ქეთი ხაბაზიშვილი, ჩვენი მეგობარი და პარტნიორი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საგარეჯოს ფილიალის მენეჯერი მია ალექსიშვილი, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის „ლიდერთა კლუბის“ პირველი თაობის ლიდერი ნუცა ბასიაშვილი.

საზეიმო გახსნის შემდეგ, დღის განმავლობაში, კომიტეტებში, ახალგაზრდები სხვადასხვა პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობდნენ. შესვენებისას ერთობოდნენ კიდევ... როგორც თვითონ აღნიშნავდნენ, გუნდური მუშაობა ძალიან საინტერესოა კონსესუსამდე მისასვლელად ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მეორე დღეს კვლავ გაგრძელდა მოდელირებული დისკუსიები, მსჯელობა, სპიკერების არჩევა, რეზოლუციებზე მუშაობა! სიურპრიზები... ხალი-ხიანი, საქმიანი და წარმატებული ახალგაზრდები!

დღის მეორე ნახევარი ოფიციალურ ნაწილს დაეთმო –



კონფერენცია, კომიტეტების რეზოლუციების წარდგენა, საუკეთესო სპიკერების საუკეთესო გამოსვლა! მსჯელობა, შეფასება, აღიარება... ნიჭის ზეიმი! მსგავსი მოდელირებები კიდევ მრავალჯერ ჩატარდება და ტრადიციად იქცევა. ყველა მონაწილეს გადაეცა ორენოვანი სერტიფიკატი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ ორგანიზატორებს ფასიანი საჩუქრები – ნიგნები გადასცა.

7 მაისს შემოქმედი მოსწავლეების შეხვედრა და ესეების განხილვა გაიმართა.

9 მაისს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისა და მისი „ლიდერთა კლუბის“ ორგანიზებით, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში, ევროპის კვირეულის დახურვის ცერემონილი გაიმართა. ეზოში თავი მოიყარეს კვირეულის მონაწილეებმა, პედაგოგებმა, ინტელექტუალებმა... ყველა კუთხეში სხვადასხვა აქტივობა მიმდინარეობდა: ინტელექტუალური თამაშები, „პასპორტობანა“, სახალისო სპორტული და სხვა კონკურსები... მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლეებმა ევროკავშირის, საქართველოს და სხვა ევროპული სახელმწიფოების დროშებით მოხატეს პატარები; პატარძელის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეებმა ძალიან საინტერესო კომპოზიცია წარმოადგინეს, ფრანგული ნიგნების და ბავშვთა ნახატების გამოფენაც მოაწყვეს და ინტელექტუალური ჩაატარეს, რომლის გამარჯვებულს საჩუქრად ნიგნი გადაეცა; ძალიან საინტერესო ინფორმაცია წარუდგინეს მსმენელს გიორგინინდის საჯარო სკოლის ინტელექტუალის მოსწავლეებმა ესპანეთის შესახებ.

დაიწყო ღონისძიების მთავარი ნაწილი – კვირეულის მონაწილეთა დაჯილდოება:

გამოფენის გამარჯვებული გახდა თოხლიაურის საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ ფოცხვერაშვილი, მე-2 ადგილი პატარძელის საჯარო სკოლის მოსწავლემ, გიორგი ლაფერიშვილმა დაიკავა, მე-3 – მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბის მოსწავლემ, ლიზი ჯანიაშვილმა.

ლიტერატურულ კონკურსში პირველი ადგილი დაიკავეს:



წყაროსთავის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, მარიამ გაგნიაშვილმა, ნუცა გაგნიაშვილმა და №2 საჯარო სკოლის მოსწავლემ, მარია შიოშვილმა; მე-2 ადგილი – საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: ანი ხითარიაშვილმა, ნატა ქაიხოსროშვილმა და ლიზი ასთავიშვილმა; მე-3 ადგილი – ასევე საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: ლალი გარსიაშვილმა და ირაკლი მატიაშვილმა. მონაწილეებს გადაეცათ დიპლომები და ერთ ნიგნად აკინძული ესეების კრებული.

ევროპარლამენტის მოდელირების მონაწილე 3 საუკეთესო „სპიკერს“ საჩუქრები გადასცა ნატოს და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის კახეთის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელმა ბექა ექსელსიძემ. მოდელირების ორგანიზატორებმა სხვადასხვა კომიტეტების მიერ გამოვლენილ, საუკეთესო დელეგატებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის საჩუქრები და დიპლომები გადასცეს. განათლების კომიტეტიდან დაჯილდოვდნენ სპიკერი ანანო სუხაშვილი, გიგი ჩიტაძე და ანტონიო ყულოშვილი; ბავშვთა უფლებების კომიტეტის ხელმძღვანელებმა, მარიამ და ნუცა გაგნიაშვილებმა, დააჯილდოვეს საუკეთესო დელეგატები: გიორგი გელევიანი და გიორგი მახარაშვილი, ამ კომიტეტის საუკეთესო სპიკერი – რუსკა ბუნჩიკაშვილი; ევროინტეგრაციის – საიმერაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა, გიორგი ესაიაშვილმა დააჯილდოვა თავისი კომიტეტის საუკეთესო დელეგატები – ლიკა მათიაშვილი და ნინო ბუზარიაშვილი, ამავე კომიტეტის საუკეთესო სპიკერი გახდა მაკა არჩაძე; დაბოლოს, პროექტის მხარდაჭერისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მადლობის ფურცელი გადაეცა ბექა ექსელსიძეს.

საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი მადლობას უხდის კვირეულის ორგანიზატორებს: მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებით გაერთიანებას და მის „ლიდერთა კლუბს“, საგანმანათლებლო რესურსცენტრს, საგარეჯოს ოთხივე, წყაროსთავის, ნინოწმინდის, პატარძელის, გიორგინინდის, თოხლიაურის, დიდი ჩაილურის საჯარო სკოლებს და პატარძელის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის დირექციებს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს პროექტის მხარდაჭერისა და წარმატებით განხორციელებისათვის.

თამარ ჯაბაძარი  
ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი

